პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 137 (9913) | პარასკევი, 11 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის მძლავრი დემონსტრაცია (1-ლი გვერდი).

პრაღაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა (მე-2 გვერდი).

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან. — **გ. წიკლაური.** — მტს-ის პარტორგანიზაცია ახალ პირობებში. **შ. მაქაცარია.** — პარტბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა (მე-2 გვერდი).

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია (მე-2 გვერდი).

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია (მე-2 გვერდი).

ს. ბელიავსკაია. — გავაძლიეროთ ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ ტექნიკური ცოდნა სასოფლო-სამეურნეოებში. — **ს. ქოჩლაძე.** — ახმეტაში სადისპეტჩერო სამსახურს უგულებელყოფენ (მე-3 გვერდი).

ა. ბურთიკაშვილი. — „ვაი ჭკუისაგან“ (მე-3 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი (მე-4 გვერდი).

პარტიის სასოფლო რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე განხორციელდა რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა. თვითეული მტს-ის მიხედვით შეიქმნა პარტიულ მუშაკთა ჯგუფი პარტიის რაიკომის მდივნის მეთაურობით. რაიკომის თვითეული ინსტრუქტორი მომსახურებას უწევს გარკვეულ კოლმეურნეობას ან კოლმეურნეობათა ჯგუფს.

პარტიის სასოფლო რაიკომის აპარატის გარდაქმნის მიზანია ბოლო მოეღოს გაუპიროვნებას კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი ხელმძღვანელობაში, მიუახლოვდეს პარტიული ხელმძღვანელობა საკოლმეურნეო წარმოებას. პარტიის რაიკომი მასებში პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ცენტრია. რაიკომის საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული ინსტრუქტორთა ჯგუფის მუშაობაზე. რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა უწინარეს ყოვლისა გულისხმობს რაიკომის ინსტრუქტორის, ინსტრუქტორთა ჯგუფის როლის გადაჭრით ამაღლებას.

მაგრამ რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა უნდა მოეწყოს არა ფორმალურად, არამედ ნამდვილად, არსებითად. „პარტიის სასოფლო რაიკომების გარდაქმნაში, — ამბობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმზე, — პირველხარისხოვან როლს ასრულებს არა მარტო საკითხის რაოდენობრივი მხარე — რამდენი ადამიანია შერჩეული და რა პოსტებზე არიან ისინი განაწილებულნი. მთავარია ადამიანთა მომზადების საკითხი. საჭიროა, რომ რაიკომების მუშაკებს კარგად ესმოდეთ მათ წინაშე მდგომი ამოცანები, ერკვეოდნენ საკოლმეურნეო წარმოებაში, შესწევდეთ უნარი იმუშაონ ადამიანებთან, უყვარდეთ პარტიული მუშაობა. ხოლო პარტიული მუშაობის სიყვარული იმას ნიშნავს, რომ გიყვარდეს მუშაობა მასებთან, იცნობდე მათს ინტერესებს, მუდამ იყო კოლმეურნეებთან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებთან, რაზმავდე მათ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად, ეხმარებოდე საქმის გაუმჯობესებაში“.

პარტიის სასოფლო რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფების მოვალეობაა ყველა ღონისძიება მიიღონ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაუმჯობესებლად და ამ საფუძველზე სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად. რაიკომის ინსტრუქტორის ამოცანაა კვალიფიციური ინსტრუქტაჟი და საქმიანი დახმარება გაუწიოს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, რაც შეიძლება მეტ ხანს დაჰყოს კოლმეურნეობაში, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდეს კომუნისტებთან და უპარტიო აქტივთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ პარტიის ბევრი სასოფლო რაიკომის ინსტრუქტორთა როლი საგრძნობლად გაძლიერდა. ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, მაგალითად, პარტიის სტალინირის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. რ. არსოევი. მან უკუაგდო ინსტრუქტორთა მუშაობის ძველებური, კანცელარიულ-ბიუროკრატიული სტილი, როცა მთელი დრო სხვადასხვა ცნობების, მოხსენებითი ბარათების შედგენაზე იკარგებოდა. თავისი დროის მეტ ნაწილს იგი კაბინეტში კი არ ატარებს, არამედ კოლმეურნეობაში, პირველადს ორგანიზაციაში, თვით მასებში. ამასთან ადგილზე იმდენ ხანს რჩება, რამდენიც საჭიროა საქმის ინტერესებისათვის. ამხ. რ. არსოევმა უწინარეს ყოვლისა მუშაობა დაიწყო ყველაზე ჩამორჩენილ სოფელ კიტრინულის კოლმეურნეობის წამოსაწევად. წინათ აქ იშვიათად მოდიოდნენ რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები. ინსტრუქტორმა ყურადღებით შეისწავლა კოლმეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები, საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციას დაეხმარა სწორად გაენაწილებინა კომუნისტები, უკეთ მოეწყო პოლიტიკური აგიტაცია მასებში.

ყოველივე ამის შედეგად საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ გამოაცოცხლა მუშაობა. მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა დღეებში ამხ. რ. არსოევი მუდამ მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადებში იმყოფებოდა, ეხმარებოდა პარტიულ ორგანიზაციას სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში და შეჯიბრების შედეგების ყოველდღიურად შეჯამებაში. ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად წელს კიტრინულის კოლმეურნეობაში გასულ წელთან შედარებით საგაზაფხულო თესვა უკეთესად ჩატარდა.

მსგავსი მაგალითების მოყვანა პარტიის სხვა სასოფლო რაიკომების ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობიდანაც შეიძლება. ბევრმა რაიკომმა მტს-ების მიხედვით ინსტრუქტორთა კარგი ჯგუფები შექმნა და სწორად, უნარიანად იყენებს მათ. მაგრამ ზოგან რაიონული პარტიული აპარატის გარდაქმნა ჯერ კიდევ ნელა მიმდინარეობს. არის შემთხვევები, როცა ინსტრუქტორმა არ იცის თავისი ამოცანა, ადგება კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის შეცვლის გზას. კვლავ ძველებურად მუშაობს, მაგალითად, პარტიის წალკის რაიკომის ბევრი ინსტრუქტორი. ისინი კოლმეურნეობებში იმისათვის მიდიან, რომ რაც შეიძლება მეტი ფაქტი და ცნობები შეკრიბონ, ხოლო თავიანთი უპირველესი მოვალეობის შესასრულებლად — საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივნისათვის ინსტრუქტაჟის გასაწევად — დრო არ რჩებათ.

რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. დ. პოპოვი იშვიათად დადის კოლმეურნეობებში. იგი წელს ერთხელ დაესწრო ბეშთაშენის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებას და მაშინაც საკითხი ისე განიხილეს, რომ დადგენილების მიღება „დაავიწყდათ“. ასევე სუსტად მუშაობს პარტიის ზნაურის რაიკომის ინსტრუქტორი ამხ. გ. თხელიძე. იგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს არ ასწავლის ხელმძღვანელობის ოსტატობას, ცუდად ეხმარება მათ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში, რეზერვების უკეთ გამოყენებაში.

ინსტრუქტორთა მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მათ ყოველდღიურად გეზს აძლევდეს და ეხმარებოდეს პარტიის რაიკომის მდივანი. რაიკომმა უნდა მოაწყოს ინსტრუქტორთა სწავლება, წაუკითხოს მათ ლექციები და მოხსენებები პარტიული მშენებლობის საკითხებზე, აგრონომიის თემებზე, შექმნას ისეთი ვითარება, რომ ისინი განუწყვეტლივ იმაღლებდნენ თეორიულ და კულტურულ დონეს, იძენდნენ საჭირო ცოდნას აგროტექნიკის, საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციისა და ორგანიზაციის დარგში.

პარტიის სასოფლო რაკომი მთელ თავის მუშაობას კოლმეურნეობებსა და პირველადს ორგანიზაციებში ინსტრუქტორთა ჯგუფების მეშვეობითა და მათზე ზედამხედველობით უნდა ეწეოდეს. ინსტრუქტორთა ჯგუფი რაიკომის აპარატის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ გამოცდილი ინსტრუქტორების შერჩევა, მათი მუშაობის ახალი მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა პარტიის სასოფლო რაიკომების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოწოდებული არიან განუწყვეტლივ ამაღლონ ინსტრუქტორთა როლი სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესება იმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ შემდგომ გავაძლიეროთ სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, მთელი ძალები და საშუალებანი დავრაზმოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

პრაღაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

პრაღა, 9 ივნისი. (საკდესი). დღეს პრაღაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე. დელეგაციაში შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. დ. ნაზარენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ა. ფურცევა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვ. პ. სტეპანოვი.

პრაღის აეროდრომზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნავოტნი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტსამდივნოს წევრები ა. ზაპოტოცკი, ი. დოლანსკი, ა. ჩეპიჩკა, ვ. კოპეცკი, კ. ბაცილეკი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ნ. პ. ფირიუბინი და საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის მძლავრი დემონსტრაცია

★ ★ ★ ★

პატრიოტიზმის გამოხატულება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ცნობას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

საავტომობილო ქარხნის შასის საამქროში სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგს 500-ზე მეტი კაცი დაესწრო. ოსტატმა ნოდარ ჩოგოვაძემ განაცხადა: ახალი სესხი, როგორც წინა სესხები, მოხმარდება ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცების საქმეს, მშვიდობის საქმეს. ამიტომ სიამოვნებით ვაწერ ხელს ახალ სესხს.

აბრეშუმკომბინატის № 2 წარმოებაში ფეიერბმა ოლია ჭიღლაძემ და ალექსანდრა ზურუხინამ ილაპარაკეს ახალი სესხის მნიშვნელობის შესახებ და პირობა დადეს მაღალნაყოფიერი შრომით კვლავ შეინარჩუნონ სტახანოველის სპატაკი სახელი.

ახალი სესხის გამოშვებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ქუთაისელი მანქანათმშენებლები, ლიტოპონრელები, მკერავები, მეფეხსაცმლეები, მშენებლები და ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებათა მშრომელები.

კარალეთში

ბოლრი. (საკ. კორ.). ახალი სესხი დიდი წარმატებით ვრცელდება კარალეთის კოლმეურნეობაში.

— ახალი სახელმწიფო სესხი, — თქვა ხელმოწერის წინ მოწვნავე ბრიგადირმა დ. მურადაშვილმა, — საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის გარანტიაა. იგი კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას. ამიტომ მე სიამოვნებით ვაძლევ ჩემს შრომით დანაზოგს სესხად სახელმწიფოს.

ახალ სესხზე ხელი მოაწერეს აგრეთვე ძმებმა ვასილ, ლევან, მიხეილ და გრიგოლ ფირუაშვილებმა. მათ თანხა ხელმოწერისთანავე დაფარეს.

ყოველდღიურად უმჯობესდება და საამური ხდება კარალეთელ კოლმეურნეთა ცხოვრება. წელს კოლმეურნეობის მარტო ფულადი შემოსავალი 7,5 მილიონ მანეთს გადაამეტებს. თვითეულ შრომადღეზე წინასწარი ანგარიშით ვარაუდობენ გასცენ შვიდი კილოგრამი მარცვლეული და 20 მანეთი ფულად.

ახალ სესხზე პირველ დღესვე ხელი მოაწერა სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრთა 90 პროცენტზე მეტმა. თანხა ხელმოწერისთანავე იქნა დაფარული.

მაღალი შეგნებით

სამტრედია. (საკ. კორ.). საორთქლმავლო დეპოს, საკონსერვო კომბინატის, აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის, სავაგონო დეპოს, მექანიკური ქარხნის და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი ახალ სესხზე.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს საკოლმეურნეო სოფლებში.

სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ წევრმა იაკობ ახობაძემ სესხზე ხელმოწერის წინ განაცხადა: კოლმეურნე გლეხობა მხურვალედ იწონებს მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. სესხზე ერთსულოვანი ხელმოწერით ახალ წვლილს შევიტანთ კომუნიზმის მშენებლობის, მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ამხ. ახობაძემ ხელმოწერის თანხა იქვე ნაღდად დაფარა. მის მაგალითს მიბაძეს კოლმეურნეებმა ა. კოხრეიძემ, ნ. ვაშაკიძემ და სხვებმა.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო სესხზე ხელმოწერის ჩაფარებაში პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმის განხორციელებისათვის.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის საფუძველზე წარმატებით არის შესრულებული 1953 წლის გეგმა. სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ ორნახევარჯერ და უფრო მეტად გადააჭარბა ომამდელ დონეს.

ეყრდნობიან რა მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში მიღწეულ წარმატებებს, პარტია და მთავრობა ახორციელებენ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის, სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ჩვენს ქვეყანაში კვების პროდუქტებისა და მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის უზრუნველყოფა. განუხრელად იზრდება მშრომელთა მილიონნიანი მასების კეთილდღეობა და კულტურა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები პატრიოტული სიამაყის გრძნობით შეხვდნენ კანონს სსრ კავშირის 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, რომელიც ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და რომლის მიზანია უახლოეს 2-3 წელიწადში სახალხო მოხმარების საქონლისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი აღმავლობის ამოცანის განხორციელება, რაც პარტიამ და მთავრობამ დასახეს.

დაუცხრომლად ზრუნავს რა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის და ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის, საბჭოთა მთავრობამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის (1954 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ. ეს სესხი, ისევე როგორც წინანდელი სესხები, ხელს შეუწყობს სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომ განვითარებას და მუშების, კოლმეურნეებისა და ინტელიგენციის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მათი მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალურ დაკმაყოფილებას.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს მთავრობის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის (1954 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ და მოუწოდებს პროფკავშირების ყველა წევრს, მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და მშენებლობის ყველა მუშას, ინჟინერს, ტექნიკოსსა და მოსამსახურეს, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, ყველა მშრომელს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხზე ორი კვირისა და ნახევარი თვის ხელფასის ოდენობით.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციას აქტიური მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხზე (1954 წლის გამოშვება) ხელმოწერის ჩატარებაში, გაიჩაღონ ფართო მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა მუშებში, მოსამსახურეებსა და ინტელიგენციაში, ყველა მშრომელთა შორის ახალი სესხის მნიშვნელობისა და პირობების შესახებ და დარაზმონ ისინი შრომის ნაყოფიერების ახალი გადიდებისათვის, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის, სოციალისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მაღწევისათვის.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ პროფკავშირთა ყველა წევრი, ყველა მშრომელი ღირსეულად შეასრულებს თავის პატრიოტულ მოვალეობას — ერთსულოვნად მოაწერს ხელს ახალ სახელმწიფო სესხზე და ამით თავის წვლილს შეიტანს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ

რუსთავი. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ცვლას, რომელსაც ინჟინერი გრიგოლ სოლეპეიტერი ხელმძღვანელობს, ახალდამთავრებული ჰქონდა მუშაობა, როდესაც რადიომ გადმოსცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

ცვლის მგლინავები ამ ცნობას საამაყო შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ. მათ საწარმოო დავალება 110 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათობით ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადის მილები.

საამქროში გაიმართა სახელდახელო მიტინგი. სიტყვა აიღო აგრეგატ 140-ის მოწინავე ოსტატმა ო. ჯაველიძემ.

— სიხარულით მივცემ ჩემს შრომითს დანაზოგს დედასამშობლოს, — თქვა მან, — რადგან ვიცი, რომ იგი მოხმარდება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ახალ ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ მკვეთრ ამაღლებას.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და სესხზე ხელი მოაწერეს გლინვის ოსტატმა პ. ნესტერენკომ, ბრიგადირმა პ. ოშეკომ, ამწეს მემანქანემ ა. ნოპრიატნიმ და სხვებმა.

ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი კრებები გაიმართა მეტალურგთა ახალგაზრდა ქალაქის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში, ახალმშენებლობებზე. რუსთავის მშრომელები ერთსულოვნად აძლევენ თავიანთ დანაზოგს საბჭოთა სახელმწიფოს და ამით გამოხატავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკისადმი უსაზღვრო ერთგულებას.

უდიდესი ერთსულოვნება

თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის“ მუშებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ რადიოთი მოისმინეს. შემდეგ ისინი საერთო საფაბრიკო კრებაზე შეიკრიბნენ, რათა ერთად გამოეთქვათ ერთსულოვანი გადაწყვეტილება: მიეცათ სესხად საბჭოთა სახელმწიფოსათვის თავიანთი შრომითი დანაზოგები.

სიტყვა აიღო ფაბრიკის ცნობილმა ადამიანმა, წარჩინებულმა მუშამ ლ. რომანინამ:

— საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, — განაცხადა მან, — რომ სახელმწიფო სესხები ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას ხმარდება. ამიტომ თვითეული ჩვენგანი სიხარულით აძლევს სახელმწიფოს სესხად თავის დანაზოგს.

ახალგაზრდა ინჟინერმა თ. ნიორაძემ შეკრებილთ მოუწოდა ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხს. პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს ფაბრიკის მოწინავე ადამიანებმა ე. ფურცელაძემ, ვ. ბატუხინამ, ე. სოროკინამ, ვ. ოგანოვმა.

კრების დამთავრებისთანავე დაიწყო სესხზე ხელმოწერა. სახელმწიფოს თავისი დანაზოგები სიამოვნებით მისცა სესხად ფაბრიკის კოლექტივის თვითეულმა წევრმა.

მაღაროელთა დანაზოგები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. ყველგან გაიმართა მიტინგები, კრებები.

სტალინის სახელობის მაღაროს წარჩინებულმა მუშამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტრიფონ ფოფხაძემ განაცხადა:

— ახალი სესხი მოხმარდება ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. სიამოვნებით ვაწერ ხელს სესხზე.

ჭიათურელი მაღაროელები ერთსულოვნად აწერენ ხელს ახალ სესხს.

ხაშურელთა წვლილი

ხაშური. (საკ. კორ.). ხაშურის ხელმავლო დეპოს მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის დადგენილებას სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

ახალ სესხზე ხელმოწერისადმი მიძღვნილ სახელდახელო მიტინგზე დამხმარე საამქროს ოსტატმა ვ. ელისაშვილმა განაცხადა:

— სიხარულით ვაწერ ხელს ახალ სესხს, რადგან ვიცი, რომ იგი მთლიანად მშრომელი ხალხის კეთილდღეობას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას მოხმარდება.

წარმატებით ჩატარდა სესხზე ხელმოწერა ხაშურის საორთქლმავლო და სავაგონო დეპოს და ქალაქის სხვა საწარმო-დაწესებულებებში.

მშრომელთა ერთსულოვნების ვითარებაში მიმდინარეობს სესხზე ხელმოწერა რაიონის სოფლებში. გვერდისუბნის, ტეზრის, ალის, ბრილის და სხვა სოფლების კოლმეურნეებმა ხელმოწერის თანხა ნაღდი ფულით დაფარეს.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალ სესხზე ხელმოწერა. 1. სესხზე ხელმოწერა „მთავარფეხსაცმლის“ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში. 2. წინარის მტს-ის კომბაინერები ხელს აწერენ ახალ სესხს. ფოტო ვ. ზარიძის და შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობს პროფკავშირთა XI ყრილობა. საკავშირო პროფსაბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა მიმდინარეობს დელეგატების მაღალი აქტივობის ვითარებაში.

9 ივნისს დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ვ. ილინა.** იგი ლაპარაკობს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდმივ ზრუნვას იჩენენ მშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. გაუწყვეტლივ დიდდება სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო იძლევა ჯანმრთელობის დაცვის საქმისათვის. მარტო წელს ამ მიზნებისათვის ასიგნებულია 24 მილიარდ მანეთზე მეტი.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის ნაკლოვანებებზე. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დღემდე არ გადაუწყვეტიათ მტს-ებთან ტიპური საავადმყოფოებისა და საფერშლო-სამეანო პუნქტების მშენებლობის საკითხი. პროფკავშირული ორგანიზაციები ნაკლებად ეხმარებიან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებაში.

გამოდის კრასნოდარის მხარის საბჭოთა მეურნეობის „მალაია ზემლიის“ ბრიგადირი **ლ. ა. სტეკლოვა.** იგი ლაპარაკობს კოლექტივის ბრძოლაზე მეურნეობის განვითარებისათვის, უხვი მოსავლის მოყვანისათვის. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, შარშან ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. ბრიგადის საწარმოო წარმატებებს ხელი შეუწყო კარგად მოწყობილმა კულტურულ-მასობრივმა და აღმზრდელობითმა მუშაობამ. პროფორგანიზაცია ყოველდღიურად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას.

სიტყვა ეძლევა პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს **ვიქტორ კლოსევიჩს,** რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

ყველა პოლონელი მშრომელის გულით, ამბობს იგი, აღსავსეა ურღვევი მეგობრობისა და მადლობის დიდი გრძნობით დიდი ოქტომბრის რევოლუციის სამშობლოსადმი, გმირი საბჭოთა ადამიანებისადმი. პოლონელი ხალხი საბჭოთა კავშირს უნდა უმადლოდეს ყოველივეს, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია — თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ისტორიული საზღვრების შემოერთებას, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის შესაძლებლობას. პოლონეთის დელეგაციის სახელით ვიქტორ კლოსევიჩმა ყრილობას საჩუქრად გადასცა ხალიჩა, ხალიჩაზე ამოქარგულია გამოხატულება კულტურისა და მეცნიერების სასახლისა, რომელიც ვარშავაში შენდება.

მოსკოვის წარჩინებულმა კალატოზმა **ი. პ. შირკოვმა** თავისი გამოსვლა მიუძღვნა სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის საკითხებს, კვალიფიციური კადრებით მშენებლობათა უზრუნველყოფას. იგი ამბობს, რომ მშენებლობებზე დიდია აგურის დანაკარგი ტრანსპორტირების გამო. აგურის გადაზიდვის პაკეტურმა ხერხმა, რომელიც მან შეიმუშავა და რომელიც საშენ მასალას მსხვრევისაგან იცავს, ფართო გამოყენება ვერ ჰპოვა.

სიტყვა ეძლევა პროფკავშირთა მოსკოვის საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს **ს. ა. ვასილიევს.** იგი ამბობს, რომ პროფკავშირთა საოლქო საბჭომ ოლქის პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით განახორციელა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისადმი საშეფო დახმარების გაწევის მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი. ლიუბერცის უხტომსკის სახელობის ქარხნის, მიტიშჩის მანქანათმშენებელი ქარხნის, ვოსკრესენსკოეს ქიმიური კომბინატის კოლექტივების ინიციატივით ოლქში გაჩაღდა შეჯიბრება სოფლის მეურნეობისათვის დაკვეთების ვადამდე და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მათი სათადარიგო ნაწილებისა და მინერალური სასუქების გამოშვების გადიდებისათვის. უკანასკნელ თვეებში საწარმოთა და დაწესებულებათა პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში წაკითხულია ათასზე მეტი ლექცია და მოხსენება, მოეწყო ათას ხუთასი კონცერტი, გაიხსნა ასამდე გამოფენა და 50 ბიბლიოთეკა.

ამხ. ვასილიევი აკრიტიკებს სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, მძიმე მანქანათმშენებლობისა და სხვა სამინისტროებს მთელ რიგ საუწყებო საწარმოებში საბინაო მშენებლობის გეგმის არადამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის.

ტრიბუნაზეა საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი **ალენ ლე ლეპი.** დამსწრენი მას ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ალენ ლე ლეპი ლაპარაკობს ფრანგ მშრომელთა ბრძოლაზე თავიანთი უფლებებისათვის, მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. იგი XI ყრილობას უსურვებს წარმატებას მუშაობაში, გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა პროფკავშირებს, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მეგობრობას.

პროფკავშირების სასპორტო საზოგადოებათა მუშაობაზე ილაპარაკა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **ლ. მ. სელიხოვამ.**

სიტყვა ეძლევა ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პირველ მდივანს **იოზეფ ტესლას,** რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად ხვდებიან.

— ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, — ამბობს ორატორი, — რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიან პროფკავშირულ ორგანიზაციად, დამავალეს თქვენს ყრილობაზე გამოვთქვა მხურვალე მადლობა საბჭოთა ხალხისადმი იმ დიდი დახმარებისათვის, რასაც იგი გვიწევს ახალი ცხოვრების აშენებისათვის მუშაობაში.

სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ნ. პეტელინი** ლაპარაკობს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებაში პროფკავშირთა მონაწილეობაზე.

ყრილობის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მისალმება. საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპების ერთგულნი, ნათქვამია მისალმებაში, იტალიის მშრომელები მონაწილეობენ მშვიდობისათვის საერთაშორისო მოძრაობაში, ყველა ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ყრილობის დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ტ. ჩერედნიჩენკო,** ბელორუსიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ი. ა. ბელსკი** და საკავშირო პროფსაბჭოს კურორტების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ცენტრალური სამმართველოს უფროსი **ი. ი. კოზლოვი.**

ყრილობის 9 ივნისას საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ **ბ. ს. რუანოვმა.** მან თქვა, რომ X-დან XI ყრილობამდე პროფკავშირთა წევრების რიცხვი ჩვენს ქვეყანაში 28,5 მილიონიდან გაიზარდა 40.4 მილიონამდე.

ამ უკანასკნელ წლებში პროფკავშარების წევრთა რიცხვის დიდი ზრდა შედეგია მუშათა კლასისა და ინტელიგენციის რიცხვის სწრაფი გადიდებისა სსრ კავშირის მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის მძლავრ განვითარებასთან დაკავშირებით.

სამანდატო კომისიამ, ამბობს მომხსენებელი, ნამდვილად ცნო ყრილობაზე არჩეული ყველა დელეგატის რწმუნებანი.

სიტყვა ეძლევა ბულგარეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს **ტოდორ პრახოვს,** რომელმაც ყრილობის დელეგატებს და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს გადასცა ბულგარეთის მშრომელთა ძმური სალამი.

ტოდორ პრახოვმა ბულგარელი და საბჭოთა ხალხების მარადიული მეგობრობის ნიშნად ყრილობას გადასცა საჩუქარი.

სასურსათო საქონლის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. ო. ასლანოვმა** ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ იბრძვიან კვების საწარმოთა მუშაკები ახალი საწარმოო რესურსების გამოვლინებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

ამასთან ერთად ორატორმა აღნიშნა, რომ პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და სამინისტრომ ვერ მიაღწიეს ყველა საწარმოს რიტმულ მუშაობას, საკმაოდ არ ებრძვიან მოწყობილობისა და თევზსარეწი ფლოტის მოცდენას, სუსტად ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას.

ტრიბუნაზეა კორეის პროფკავშირული დელეგაციის წარმომადგენელი **კიმ ენ ენი.** დელეგატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან გმირი კორეელი ხალხის წარმომადგენელს.

წარმატებანი, რომლებსაც მიაღწია საბჭოთა ხალხმა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ამბობს კიმ ენ ენი, მაგალითია კორეის მუშათა კლასისათვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნების მშრომელებისათვის.

დღეს კორეის მუშათა კლასის წინაშე დასახულია უმნიშვნელოვანესი ამოცანა — სწრაფად აღადგინოს ომის დროს დანგრეული სახალხო მეურნეობა და მიაღწიოს კორეის მშვიდობიან გაერთიანებას.

კიმ ენ ენმა ყრილობას გადასცა დროშა.

სიტყვა ეძლევა სტალინის სახელობის კუზნეცკის კომბინატის მვალცავს **პ. ვ. ზავარიკინს.** კუზნეცკელმა მეტალურგებმა, ამბობს ორატორი, მიაღწიეს გეგმის შესრულებას მთელი მეტალურგიული ციკლით და ყოველწლიურად ადიდებენ ლითონის გამოშვებას.

მეტალურგთა ცხოვრება წლითიწლობით უფრო ლამაზი და მდიდარი ხდება. ქალაქ სტალინსკში სამი წლის მანძილზე აშენდა 86 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ახლა უკვე ოშვიათი როდია, როცა მუშები საკუთარი ავტომანქანებით დადიან, ლამაზ ავეჯს, პიანინოსა და როიალს იძენენ.

მისასალმებელ სიტყვას ამბობს უნგრეთის პროფკავშირთა დელეგაციის წარმომადგენელი **იოჟეფ მეკინი.**

უნგრეთის პროფკავშირებმა, ამბობს იგი, საბჭოთა პროფკავშირებისაგან მიიღეს ფასდაუდებელი დახმარება თავიანთი ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიც ვმოვებთ საბჭოთა პროფკავშირების ძმურ მხარდაჭერასა და დახმარებას. ამ ყრილობის გამოცდილებას ჩვენ გამოვიყენებთ უნგრეთის მშრომელი ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის რაც შეიძლება სწრაფი ამაღლებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ სიტყვა ეძლევა რუმინეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს **სტელიან მორარს.**

რუმინეთის პროფკავშირთა დელეგაცია, ამბობს იგი, საბჭოთა პროფკავშირებსა და ყველა საბჭოთა ადამიანს უსურვებს ახალ წარმატებებს მეფი უდიდესი და დიდმნიშვნელოვანი მუშაობის ყველა დარგში, კომუნიზმის აშენებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში.

ყრილობის საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვეს აგრეთვე უზბეკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **დ. ხოჯაევმა,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველოს უფროსმა **გ. ი. ზელენკომ,** საკავშირო პროფსაბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსმა **პ. ე. ფომინმა,** ექსკავატორის მემანქანემ **ტ. ი. გრიბოვმა** (ამურის ოლქი).

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკვლევი).

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

სოხუმი. გაიმართა აფხაზეთის ასსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

სესიამ მოისმინა აფხაზეთის ასსრ ფინანსთა მინისტრის დ. ჯიჭონაიას მოხსენება აფხაზეთის ასსრ 1954 წლის ბიუჯეტისა და აფხაზეთის ასსრ 1953 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

აფხაზეთის ასსრ 1954 წლის ბიუჯეტი 159.843 ათასი მანეთის მოცულობით, რაც განსახილველად წარედგინა სესიას, გათვალისწინებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის და მკაფიოდ ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის. სახსრების ძირითადი ნაწილი — 126.685 ათასი მანეთი ანუ ბიუჯეტის 79,3 პროცენტი ხმარდება სახალხო განათლებას, კულტურას, მეცნიერებას, ჯანმრთელობის დაცვას, სოციალურ უზრუნველყოფას. განზრახულია დიდი თანხები დაიხარჯოს აფხაზეთის კურორტთა შემდგომი კეთილმოწყობისათვის. სოხუმის მშენებლობასა და კეთილმოწყობას უნდა მოხმარდეს 7 მილიონ მანეთზე მეტი. მნიშვნელოვანი სესიერ ეხებოდა ... მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებაზე,

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება გააკეთა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ზ. ხუნწარიამ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს აფხაზეთის ასსრ 1954 წლის ბიუჯეტს და ანგარიშს აფხაზეთის ასსრ 1953 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ერთხმად მტკიცდება აგრეთვე კანონი აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1954 წლის ბიუჯეტის შესახებ.

სესიამ დაამტკიცა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ აირჩია აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე მოქმედი სპეციალური სასამართლოს სახალხო მსაჯულები.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ ამით დაამთავრა მუშაობა. (საკვლევი).

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა აჭარის ასსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

სესიამ განიხილა აჭარის ასსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ს. ჯიჯეიშვილის მოხსენება აჭარის ასსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და აჭარის ასსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სესიამ მოისმინა აგრეთვე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის წევრის დეპუტატ დ. ლეკვეიშვილის თანამოხსენება.

მომხსენებლებმა და სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ აჭარის ასსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით შესრულდა. გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემოსავლის ნაწილში შეადგენს 124.262 ათას მანეთს, ანუ დავალების 101 პროცენტს, ხოლო გასავლის ნაწილში — 122.929 ათას მანეთს, ანუ 99,8 პროცენტს. გასავალზე შემოსავლის გადაჭარბება უდრის 1.333 ათას მანეთს.

აჭარის მშრომელებმა გასულ საბიუჯეტო წელს ახალ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

აჭარის ასსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოდგენილი იყო შემოსავლისა და გასავლის ნაწილში 125.696 ათასი მანეთის რაოდენობით. ბიუჯეტი შედგენილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის საფუძველზე და სავსებით უზრუნველყოფს ამ გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუფერხებელ დაფინანსებას.

ბიუჯეტის ციფრები სავსებით ასახავენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის შემდგომი ამაღლებისათვის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელ მზრუნველობას.

აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი და 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

სესიამ დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

ამით დაამთავრა მუშაობა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

ლვოვის თეატრის გასტროლები

ამ დღეებში ლვოვის თეატრის კოლექტივის ნაწილი პირველად ეწვია ქალაქ გორს.

შუადღისას ქალაქის მოედანზე, **ი. ბ.** სტალინის მონუმენტთან, გორის მშრომელებმა **გზლთბილი** შეხვედრა მოუწყეს უკრაინელ სტუმრებს.

შემდეგ სტუმრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი.

საღამოს ლვოვის თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა გ. კვიტკა-ოსნოვიანენკოს კომედია „შელმენკო — დენშჩიკი“, რომელმაც მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკიდან

მტს-ის პარტორგანიზაცია ახალ პირობებში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ დუშეთის მტს-ის პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა, ახლებურად მუშაობის გამოცდილება შეაძინა. ჩვენმა პარტორგანიზაციამ, რომელშიც 60 კომუნისტი ირიცხება, მტს-ის დირექციასთან ერთად თავიდანვე სერიოზული ყურადღება მიაქცია მექანიზატორებისა და სპეციალისტების მომზადებას, მათს სწორად განაწილებას. შარშან 25 ახალგაზრდა მექანიზატორი გავგზავნეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მათგან მტს-ს უკვე დაუბრუნდა 10 სპეციალისტი.

პარტიულმა ორგანიზაციამ მექანიზატორებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის გაშალა ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირა კონკრეტულ საწარმოო ამოცანებს. ნაყოფიერად მუშაობენ აგიტატორები, წამკითხველ-მესაუბრენი, ხშირად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი, საველე ფურცლები.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა გასწია. მექანიზატორებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. იარაღ-მანქანების რემონტის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ამ საქმეში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ის სატრაქტორო ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები, ა. ხუბაშვილი, ს. სანაშვილი, ი. თანიაშვილი და გ. სამაშვილი ხელმძღვანელობენ.

ხვნა-თესვის წინ ჩავატარეთ ღია პარტიული კრება. ეს არ ჰგავდა წინათ ჩატარებულ კრებებს. კომუნისტები ლაპარაკობდნენ კვადრატულ-ბუდობრივად თესვაზე, ტრაქტორების ორ ცვლად მუშაობაზე, სადისპეტჩერო სამსახურის მოწყობაზე, მეურნეობის ახალ, პროგრესულ მეთოდებზე. კრებამ მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა და სერიოზული როლი შეასრულა ჩვენს მომავალ წარმატებაში.

მტს-ის დირექციასთან ერთად დავაწესეთ გარდამავალი წითელი დროშები მოწინავე სატრაქტორო ბრიგადებისათვის, მოვაწყეთ ლამაზად გაფორმებული საპატიო დაფა, გადავახალისეთ აგიტატორთა შემადგენლობა, აგიტატორებისათვის ჩავატარეთ სპეციალური სემინარი.

დაიწყო ხვნა-თესვა. სამუშაოთა მაღალხარისხოვნად და ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი წარმატება კომუნისტებმა მოიპოვეს. კომუნისტების გ. ბოდაველის, ი. თანიაშვილის, გ. სამაშვილის, ა. ხუბაშვილის, ს. სანაშვილის და კომკავშირელ ი. რუსიტაშვილის სატრაქტორო ბრიგადებმა დირექციის მადლობა დაიმსახურეს.

მტს-მა კარგა ხანია გადაჭარბებით შეასრულა მინდვრის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა. დათესილია 1.600 ჰექტარი, ნაცვლად 1.500 ჰექტარისა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე კულტივაციის, აოშვის, პლანტაჟის და ბაღ-ვენახების საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმები. წელს პირველად დავთესეთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით 250 ჰექტარი სიმინდი. ასევე წელს პირველად დავიწყეთ ბოსტნეულის გამოყვანა ნეშომპალის ქოთნებში.

პარტიული ორგანიზაცია სერიოზულ ყურადღებას უთმობს მტს-ის მუშამოსამსახურეთა და სპეციალისტთა შეგნების ამაღლების, მათი იდეური წრთობის საქმეს. ხშირად იმართება ლექციამოხსენებები საინტერესო საკითხებზე, პერიოდულად ეწყობა კინოსურათების ჩვენება, გამოდის შინაარსიანი და კარგად გაფორმებული კედლის გაზეთი „ტრაქტორისტის ხმა“. კომუნისტები და კომკავშირელები, აგრეთვე უპარტიო აქტივისტები ეუფლებიან რევოლუციურ თეორიას, სწავლობენ საკოლმეურნეო წარმოების საკითხებს.

პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე მსჯელობის საგნად ვხდით არა მარტო ზემდგომი პარტიული ორგანოების დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხს, არამედ მტს-ის დირექტორის ამა თუ იმ ბრძანების შესრულებასაც. პერიოდულად განვიხილავთ, თუ როგორ ხორციელდება აგროწესები ამა თუ იმ სატრაქტორო ბრიგადაში, რა კეთდება კონკრეტულად მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

ხუთ სატრაქტორო ბრიგადაში შექმნილია პარტიული ჯგუფები, ისინი სათავეში უდგანან მექანიზატორთა შრომითს აქტივობას.

ამჟამად ჩვენი მუშაობა მიმართულია იქითკენ, რომ აგროტექნიკური ვადებში დავამთავროთ ნათესების გამოკვება-დამუშავება, შევაკეთოთ და მოსავლის ასაღებად მოვამზადოთ საჭირო იარაღ-მანქანები, შემჭიდროებულ ვადებში დავამზადოთ პირუტყვის საკვები და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მოსავლის აღებას.

მიუხედავად წარმატებისა, მუშაობაში გვაქვს ნაკლიც: პარტიულმა ორგანიზაციამ და მტს-ის დირექციამ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს არსებული ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენებას. არის ტექნიკური მიზეზებით ტრაქტორების მოცდენის შემთხვევები, ზოგიერთი ტრაქტორისტი ვერ ასრულებს გამომუშავების ნორმებს, არის აგროტექნიკის დარღვევის ფაქტებიც. ბევრი მუშაობაა საჭირო მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის დაჩქარებისა და მექანიზატორთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

დუშეთის მტს-ის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

გ. წიკლაური,

დუშეთის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

პარტბიურო კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტბიურომ და საამქროების პარტიულმა ორგანიზაციებმა გარკვეული გამოცდილება შეიძინეს კოლექტიური ხელმძღვანელობის განხორციელების საქმეში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი გარდატეხა მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ.

კოლექტიური ხელმძღვანელობა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ყველა პრინციპული გადაწყვეტილება გამომუშავებულ იქნას საკითხის ღრმად შესწავლისა და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ. კოლექტივის ყველა წევრის ფართოდ ჩაბმა ხელმძღვანელობაში უზრუნველყოფს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, კვალიფიციური ხელმძღვანელობის განხორციელებას. პარტბიუროს ყველა წევრი და პარტიული აქტივი ფართოდ მონაწილეობს პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში, აგრეთვე მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებაში.

პარტბიუროს წევრთა შორის ფუნქციები განაწილებულია თვითეულის სურვილის, ცოდნისა და უნარის გათვალისწინებით. გარდა ამისა, პარტბიუროს წევრებსა და პარტიულ აქტივს ხშირად ეძლევათ ერთდროული დავალებანი. პარტიულ მუშაობაში პარტბიუროს წევრთა და პარტიული აქტივის ფართოდ ჩაბმამ მნიშვნელოვნად გააძლიერა კომუნისტების აქტივობა. პარტბიუროს წევრები, მათ შორის ა. ბრიგადანი, ვ. ქირია, პ. კვაჭაძე და სხვები ინიციატივას იჩენენ, პარტბიუროს წინაშე ხშირად აყენებენ აქტუალურ საკითხებს. ამას წინათ ა. ბრიგადანის ინიციატივით პარტბიურომ მოამზადა და განიხილა საკითხი ქარხანაში პარტიული განათლების ქსელის მუშაობის შესახებ. ამან ხელი შეუწყო კომუნისტების პოლიტიკური სწავლების გაუმჯობესებას.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი გულისხმობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის, პირველ რიგში ქვემოდან კრიტიკის, ფართოდ გაშლას, ყოყოჩობისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლას. კრიტიკის ჩახშობის ცდები იყო ზოგიერთი კომუნისტის მხრივ, რომლებიც ქარხანაში ხელმძღვანელ სამუშაოებზე არიან. № 17 საამქროს უფროსი კომუნისტი კ. იმნაიშვილი მკაცრად იქნა გაკრიტიკებული საამქროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე. კ. იმნაიშვილი შეეცადა კრიტიკის ჩახშობას, ხოლო შემდეგ მტკიცების „შემცირების“ საბაბით გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა „არასასურველი“ მუშაკები. პარტბიურომ განიხილა და დაგმო კომუნისტი კ. იმნაიშვილის საქციელი, დაადო მას მკაცრი სასჯელი კრიტიკული შენიშვნებით გამოსული კომუნისტების დევნისათვის.

ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის უხეში დარღვევაა პარტიული კრებებისა და პარტბიუროს სხდომების იშვიათად, მოუმზადებლად, აგრეთვე სათანადო კვორუმის უქონლად მოწვევა. ამის გარდუვალი შედეგია პარტბიუროს მდივნის მიერ გადაწყვეტილებათა ერთპიროვნულად მიღება, პარტბიუროს წევრთა გაუპიროვნება და პასუხისმგებლობის შესუსტება, პარტბიუროს, როგორც კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოს, როლის შემცირება. ხელმძღვანელობის ასეთი მანკიერი მეთოდები იწვევს კრიტიკისა და თვითკრიტიკის მოდუნებას, მასების აქტივობისა და ინიციატივის მოდუნებას. ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, პარტბიუროო სისტემატურად იწვევს პარტიულ კრებებს და პარტბიუროს სხდომებს, აგრეთვე ღია პარტიულ კრებებს, წინასწარ გულდასმით ამზადებს განსახილველ საკითხებს, ამ საქმეში ფართოდ აბამს პარტიულ აქტივს.

პარტიული ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპი ითვალისწინებს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებაში კომუნისტებისა და უპარტიო აქტივისტების ფართოდ ჩაბმას. გასული წლის ბოლოს ღია პარტიულ კრებაზე განვიხილეთ შრომის ნაყოფიერებისა და სამეურნეო ანგარიშიანობის საკითხი. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ საამქროში ყურადღება არ ექცეოდა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცების საქმეს. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დავსახეთ კონკრეტული ღონისძიებანი. ამ დღეებში განვიხილეთ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. გამოირკვა, რომ ოადგენილების თითქმის ყველა მუხლი განხორციელებულია.

პარტბიუროო ყოველნაირად ეხმარება საამქროთა პარტორგანიზაციებს ფართოდ დანერგონ კოლეგიური მუშაობის პრინციპი. კოლეგიური ხელმძღვანელობით განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ № 2, № 3 და № 4 საამქროების პარტბიუროები (მდივნები ი. ჯალფა, ლ. ღამანაშვილი და გ. დარჩია). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპის განხორციელებაში ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას ნაკლოვანებებიც აქვს. № 16 საამქროს პარტბიუროს მდივანი ამხ. უსოკი პირველ ხანებში ყველაფერს თვითონ აკეთებდა, არ იყენებდა პარტბიუროს წევრებსა და აქტივს. ამის გამო საამქროში სუსტად იყო დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მსგავსი მდგომარეობაა № 10 საამქროშიც (მდივანი ნ. კერძეკაძე). აღნიშნულ საამქროებში დაბალია შრომის და საწარმოო დისციპლინა, სუსტად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა, ცალკეული ხელმძღვანელი მუშაკები მხოლოდ სიტყვით იწონებენ კრიტიკას, საქმით კი არაფერს აკეთებენ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ასეთ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, ქარხნის კომუნალური განყოფილების უფროსი ა. თავდუმაძე.

ეს ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ არასაკმაოდ ახორციელებს კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპს, ვერ ზრდის ყველა ხელმძღვანელ მუშაკს მაღალი პრინციპულობის, კოლექტივის ნებისყოფისადმი საკუთარი ნებისყოფის დამორჩილების სულისკვეთებით.

შინაპარტიული დემოკრატიის განუხრელად განხორციელება, კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპის მტკიცედ დაცვა ქარხნის პარტიულ ორგანიზაციას მომავალში კიდევ უფრო გაუადვილებს მის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების წარმატებით გადაჭრას, პარტიული მუშაობის დონის ამაღლებას.

შ. მაძაცარია,

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

გაზეთების ფურცლებზე

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები

დღითიდღე სულ უფრო ძლიერდება მზადება მუდმივმოქმედი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის, რომელიც მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს გაიხსნება მოსკოვში. რესპუბლიკის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას გამოფენაში მონაწილეობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის.

ადგილობრივი გაზეთები, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული ამოცანები გამოფენისათვის მზადებასთან დაკავშირებით, თავიანთ ფურცლებზე უჩვენებენ გამოფენის კანდიდატების საქმიანობას, აცნობენ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს მუშაობის იმ მეთოდებსა და ხერხებს, რომლებითაც გამოფენის კანდიდატებმა უხვი და მყარი მოსავალი მოიყვანეს.

ამ მხრივ სერიოზულ მუშაობას ეწევა თელავის რაიონული გაზეთი „კოლმეურნის ხმა". გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს მასალებს რუბრიკით „ვიბრძოლოთ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის!", „გამოფენის კანდიდატები". საყურადღებო მასალები გამოაქვეყნა „კოლმეურნის ხმამ" აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეზე", რომელმაც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ყურძნის, ხორბლის, სიმინდის უხვი მოსავლის მიღების საქმეში. გასულ წელს აკურელებმა იკისრეს 142 ჰექტარი ფარობის თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი ყურძნის მიღება. ვენახებში აგროტექნიკური ღონისძიებების ფართოდ გამოყენების, ვაზის სანმეშოდ მოვლის შედეგად მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. თვითეულ ჰექტარზე მიღებულ იქნა 85,5 ცენტნერი ყურძენი. მევენახეობის რვა ბრიგადას შორის ყველას აჯობა ნ. ქეგნიშვილის ბრიგადამ, რომელმაც 23 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 103 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა. წელს კი აკურელმა კოლმეურნეებმა პირობა დადეს ჰექტარზე მოიყვანონ 90 ცენტნერი ყურძენი. კარგი მიღწევები აქვთ აკურელ კოლმეურნეებს აგრეთვე ხორბლისა და სიმინდის მოყვანაში, მეცხოველეობის განვითარებაში ჩამორჩენის აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

გაზეთი „კოლმეურნის ხმა" სათავეში ჩაუდგა გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის რაიონის კოლმეურნეობათა მიერ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას, სისტემატურად ბეჭდავს მასალებს ამ შეჯიბრების შესახებ.

მახარაძის რაიონი გამოფენის კანდიდატი ფართო ჩვენებით. რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა" ცდილობს განაზოგადოს რაიონის მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, უჩვენოს გამოფენის კანდიდატების მიღწევები. გამოფენის მოწყობის შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ გაზეთმა დაიწყო მოწინავე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მუშაობის გამოცდილების ამსახველი მასალების ბეჭდვა. „ლენინის დროშამ" გამოაქვეყნა ვრცელი წერილი გამოფენის კანდიდატის — ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის შესახებ, დაბეჭდა აგრეთვე მასალები სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობისა და რაიონის სხვა კოლმეურნეობების — გამოფენის კანდიდატების საქმიანობის შესახებ.

გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა დასარაზმავად გარკვეულ მუშაობას ეწევიან აგრეთვე ქობულეთის, სოღნილის, გულრიფშის, სოხუმის, გორის და სხვა რაიონების გაზეთები, რომელთა ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მასალები გამოფენის კანდიდატების მიღწევებზე.



თბილისის გარეუბნის რაიონის მარტყოფის მტს-მა ამას წინათ მიიღო ახალი მარკის სათიბი მანქანა. **სურათზე:** მთავარი ინჟინერ-მექანიკოსი ნ. კანდელაკი (მარჯვნივ), მტს-ში სამუშაოდ ახალმოსული ინჟინერ-მექანიკოსი გ. ბაქრაძე და ტრაქტორისტი ვ. ძაგანაშვილი მუშაობენ თავის სათიბი ახალი მანქანის აწყობაზე.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

ფართოდ დავნერგოთ ყოველივე ახალი სოფლის მეურნეობაში

ახმეტაში სადისპეტჩერო სამსახურს უგულებელყოფენ

გაზეთ „კომუნისტის" მიმდინარე წლის 9 აპრილის ნომერში დაბეჭდილი იყო კრასნოდარის მხარის მედველოვსკის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დისპეტჩერის ამხ. ი. ბრუსის წერილი სათაურით: „მტს-ის სადისპეტჩერო სამსახური".

მოსალოდნელი იყო, რომ მედველოვსკელთა მაგალითს მიბაძავდნენ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ები. ფაქტიურად ბევრგან ასე არ მოხდა. სადისპეტჩერო სამსახურს უგულებელყოფენ. ახმეტის მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა ორი წლის წინათ 9 ცალი რადიომიმღები „ულოიკი" მიიღო. მტს-ის კანტორაში სადისპეტჩერო ოთახი გამოჰყვეს და „ულოიკის" ტიპის რადიოტელეფონი დადგეს. დისპეტჩერ ვ. ნადირაშვილს თვეში 972 მანეთი ხელფასი დაუნიშნეს, რადიოტექნიკოს შ. კახოშვილს კი 450 მანეთი.

ჩვენ ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორ ჰქონდათ მოწყობილი სადისპეტჩერო სამსახური შარშან ან შარშანწინ. წელს კი ამ მხრივ არაფერი არ გაუკეთებიათ. რადიომიმღებების სატრაქტორო ბრიგადებში წაღებამ დღემდე არ გახსენებიათ. რადიოტექნიკოსმა შ. კახოშვილმა განაცხადა:

— მტს-ის დირექტორს ამხ. ცქიფურიშვილს ბევრჯერ მივმართე, რომ დამხმარებოდა, მაგრამ პასუხიც არ მომცა. ახლა იძულებული ვარ განცხადება დავწერო გასთავისუფლების შესახებ. ცხრა თვეზე მეტია არაფერი გამიკეთებია.

დისპეტჩერი ვ. ნადირაშვილი თავს იმით იხეგზეშებს, რომ სხვა საქმეებს აკეთებინებენ და უსაქმურობას არა გრძნობს.

მტს-ის დირექციამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან შემდეგი შინაარსის მიმართვა მიიღო: „გავალებთ გამოგზავნოთ ანგარიში, რადიოსადგურების და სადისპეტჩერო სამსახურის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ და მომავალში გზავნოთ ყოველთვიურად აღნიშნული ანგარიში".

სადისპეტჩერო სამსახურის შესახებ მტს-ის დირექციას ჯერ ანგარიში არ გაუგზავნია. საინტერესოა, როგორი შინაარსისა იქნება იგი?

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

თამბაქოს რგვა დამთავრდა, შეგეხა დაიწყო

ლაგოდეხი. („კომუნისტის" კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა 7 ივნისისათვის დაამთავრეს თამბაქოს რგვა. დარგულია 2.400 ჰექტარი, ანუ შარშანდელზე 900 ჰექტარით მეტი თამბაქო.

სოფელ ყარსუბნის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ლობჟანიძე), რომელმაც რაიონში ყველაზე ადრე — 1 ივნისისათვის დაამთავრა რგვა 200 ჰექტარზე, უკვე დაიწყო თამბაქოს შეტეხა. შეტეხილია პირველი 400 ზონარმეტრი თამბაქო. კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის წევრმა სტახანოველმა ე. გოგოლაძემ 0,40 ჰექტარი დარგო და 200 ზონარმეტრი თამბაქო შეტეხა.

გაცხოველებით მიმდინარეობს აგრეთვე ყაზანლიყის ვარდის კრეფა. მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 200 ცენტნერი ვარდი. ვარდის კარგ მოსავალს იღებენ სოფელ ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის, სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის, სოფელ საქობოს მოლოტოვის სახელობის, სოფელ თამარიანის 1-ლი მაისის სახელობის და სხვა კოლმეურნეობები.

„ვაი ჭკუისაგან"

გრიბოედოვის სახელობის თეატრში

ბა. ეს სცენა რეჟისორის მიერ ამდენად ბუნებრივად არის გაკეთებული, რომ ასოციაციით მოგაგონებთ როსინის ოპერა „სევილიელი დალაქიდან" დონ ბაზილიოს არიას ცილისწამების შესახებ. რეჟისორულად კარგად გაკეთებულმა ამ ცილისწამების სცენამ დამდგმელი არ გაიტაცა და მთავარი — ჩაცკის შეჯახება ფამუსოვების ხროვასთან — არ დაჩრდილა. ამრიგად, ყოველი მიზანსცენა, ყოველი მდგომარეობა ემსახურება ძირითად იდეას — გამოავლინოს, თუ რატომ იტანჯება ჩაცკი, ხოლო დასკვნის თვით მსმენელი გამოიტანს — უნდა დაემხოს ფამუსოვებისა და სკალოზუბების სამყარო. ეს ხომ დეკაბრისტების იდეალი იყო. გრიბოედოვის ეს უკვნობი კომედია ხელნაწერის სახით ცნობილი გახდა იმ პერიოდში, როცა რუსეთის მოწინავე პროგრესული ელემენტები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის ირაზმებოდნენ და ქვეყნის განახლებისათვის იღვწოდნენ. როცა დეკაბრისტ შტეინგელს ჰკითხეს, თუ რა თხზულებებმა შეუწყო ხელი მის შეხედულებათა განვითარებას, მან სხვათა შორის ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" დაასახელა. ჩაცკის უიმედო სიყვარულთან შერწყმული თავისუფლებისადმი ლტოლვა რეჟისორმა დამაჯერებლად გამოავლინა.

ფამუსოვის როლი დაკისრებული აქვს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ა. ზაგორსკის. ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს ამ მსახიობის მიერ ოსტატურად განსახიერებულ ზოგიერთ სახეს — „ძახველის ჰალაში", „კიკეიძეში" და სხვა სპექტაკლებში. ამიტომაც ყველა დიდი ინტერესით მოელოდა, როგორ დაძლევდა ფამუსოვის როლს ეს ნიჭიერი მსახიობი. მას უდავოდ საინტერესოდ აქვს მოფიქრებული ეს სახე, გრიბოედოვის მუსიკალურ ტექსტსაც სწორად გადმოგვცემს, მაგრამ სრულ გარდაქმნას ამ კაცი ახერხებს. მასში არ იგრძნობა მეგატონე. უეჭველია, მსახიობი ასე ფიქრობდა: ფამუსოვი ახალგაზრდობისას მოლჩალინის მსგავსი ბატარა მახელე იყო. თუ დიდ თანამდებობას მიაღწია, ეს თავისი მლიქნეველობით. მართალია, მსახურნი ბატონს ეძახიან, მაგრამ იგი მდგომარეობით არის ბატონი და არა შთამომავლობით, გააზნაურებული მდგომაა.

სწორედ ამ გააზნაურებულ მდგომაოთ სჩვევიათ არისტოკრატთა მანერების გარეგნულად შეთვისება. პირველსავე სცენაში, ლიზასთან გაართობებისას ნათლად იგრძნობა, რომ ზაგორსკის ფამუსოვს გარეგნულადაც ვერ შეუთვისებია მეგატონეთა მანერები, ალაგ-ალაგ თვით ტექსტშიც მოისმის ყოფაცხოვრებითი ნოტები, რაც ფამუსოვისთვის უცხოა. უეჭველია, მსახიობი ნაკლს გამოასწორებს და თავის შემოქმედებითს ბიოგრაფიას გაამდიდრებს ამ მეტად რთული, საინტერესო სახით.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თ. ბელოუსოვას ნიჭის ხასიათს მაინცდამაინც არ შეეფერება სოფიოს როლი. გრიბოედოვის თეატრში მუშაობის პერიოდში ამ მსახიობს ბევრი საინტერესო სახე შეუქმნია (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულში", ა. ჩეხოვის „ძია ვანიში" და სხვა) ეს როლი კი ჯერჯერობით დაუძლეველია.

სოფიოს სახის შესახებ ლიტერატურაში ორი საწინააღმდეგო აზრი არსებობს. კრიტიკოსების ნაწილი მას თვლიდა უსიცოცხლო, სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანად. დიდი რუსი მოაზროვნის ბელინსკის თქმით კი სოფიოში არის ხასიათის ენერგია. ამ დებულებას ავითარებდა მწერალი ი. გონჩაროვი და დასძენდა, „სოფიოში არის მტკიცე ხასიათის ადამიანის ნიშნები, ცოცხალი გონება, სიმძაფრე და ქალური სინაზე". მსახიობი თ. ბელოუსოვა სოფიოს ნებისყოფამოკლებულ არსებად გვისახავს, რაც სწორი არ არის. მხოლოდ პირველ მოქმედებაში, როცა მამას სიზმარს უამბობს, მსახიობმა დაგვანახვა, რომ შეუძლია ამ სახის გამოცოცხლება.

რეჟისორი სწორად მოქცეულა, ლიზასთვის რომ ჩამოუშორებია ძველად ამ როლის განსახიერებისას დ[illegible] ლიზა მშრომ[illegible] ბატონებზე უფრო გონიერი, მოხერხებული და სიცოცხლით, სიხარულით აღსავსე. ამ მხრივ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. სპერანსკაია სწორად განასახიერებს ლიზას, მაგრამ ლიზა ხომ მოსკოვშია, დიდი მოხელის სახლში და არა მივარდნილ რომელიმე ყრუ ადგილს. მანერებით კი ზოგჯერ მოგაგონებთ ისეთ გოგონას, რომელსაც თითქოს ქალაქი თვალითაც არ უნახავს.

მოსაწონია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი იგორ ზლობინი მოლჩალინის როლში. ეს პერსონაჟი ხანდახმულობისას უეჭველია ფამუსოვის ადგილს დაიჭერს. მლიქნელობით იგი თავის კარიერას იკეთებს. თუ უფროსებთან მოწურად ქედს იხრის, სამაგიეროდ უხეშია დაბალ ხალხთან, მაგალითად, ლიზასთან. მსახიობს ყველა ეს მომენტი სწორად აქვს დამუშავებული.

მომზიდველია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. რუსინოვის მიერ განსახიერებული ჩაცკი. რუსინოვის გააზრებით ჩაცკი მგზნებარე და ფიცხია. მსახიობი ახერხებს ჩაცკის პირად დრამას სოციალური ხასიათი მისცეს და ფამუსოვ-სკალოზუბების სამყაროს მამხილებლად მოგვევლინოს. ამ ადამიანის სახით მაყურებელი ხედავს მებრძოლ დეკაბრისტს, ძველი სამყაროს მნგრეველს.

ჩაცკის მონოლოგი, სადაც მძაფრად არიან გაკრიტიკებული ისინი, ვინც ქედს იხრის ყოველივე უცხოურის წინაშე, ისეთი პატრიოტული გრძნობით, ტემპერამენტით არის წარმოთქმული, რომ მთელი დარბაზის აღტაცებას იწვევს. ლამაზად ეღერს ა. გრიბოედოვის მუსიკალური ენა. ყოველ ნიუანსს მსახიობი სწორად გადმოსცემს. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა შეძლო დაეტკბო მაყურებელს სმენა ამ კომედიის ენით. განსაკუთრებით ეს ეხება ი. რუსინოვს.

პოლკოვნიკ სკალოზუბის როლს კარგი განმსახიერებელი გამოუნახა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. სმირანინის სახით. მსახიობის მანერები, სიარული, ყუსტები ცოცხლად წარმოგვიდგენს გამოყეყეჩებულ ადამიანს. მესამე მოქმედების დასაწყისში ჩაცკი სკალოზუბს ხომ ჩაბახალჩილს უწოდებს. ზოგიერთმა კომენტატორმა ეს პირდაპირი მნიშვნელობით გიგო, ჩაცკის ირონიას ვერ მიხვდა და სკალოზუბი ხრინწიანად დასახა. სინამდვილეში კი სკალოზუბს ხმა ძლიერი უნდა იყოს, რაც სმირანინს აკლია.

გრიბოედოვის ამ გენიალურ ქმნილებაში ყველა როლი, დიდი თუ პატარა, მთლიან დასრულებულ სახეს წარმოადგენს. გრიბოედოვის თეატრი სწორად მოქცეულა, როცა ეპიზოდური, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი როლები დაუკისრებია გამოცდილი მსახიობებისათვის, რამაც სპექტაკლს წარმატებას დიდად შეუწყო ხელი.

უკრაინის სსრ და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ა. მაჩსიმოვას ნატალია დმიტრიევნა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. ნირვანოვის პლატონ მიხაილოვიჩი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ა. სმირნოვას ფაფინია და რესპუბლიკის სახალხო არტისტის ე. სატინას ხლოსტოვა მეტად საინტერესო, დასამახსოვრებელი სახეებია.

ასევე სიმართლით განასახიერებენ თავიანთ როლებს ს. რატროვი (თავადი ტუგოუხოვსკი) და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ლემეგარატი (ცნეინა). ჯორიკანა, ფუქსავატ, საზიზღარ ანტონ ზაგორეცკის სახეს დამაკმაყოფილებლად წარმოგვისახავს მსახიობი ე. კერჟენცევიჩი.

რეპეტილოვის როლში რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. სლავინი ოსტატობის მხრივ ვერ აღწევს იმ დონეს, რაც ხშირად გვინახავს მის მიერ სხვა პერსონაჟების განსახიერებისას. რეპეტილოვის როლი დიდი არ არის, მაგრამ შესასრულებელად მეტად ძნელია. მსახიობ სლავინს მართებს მიღწეულით არ დაკმაყოფილდეს, მეტი სიმძაფრე შეიტანოს ამ სახეში და სავსებით გამოავლინოს ეს ფუქსავატი მოლაყბე.

გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელობა კარგად მოიქცა, რომ განაახლა ეს კლასიკური კომედია და დიდი დრამატურგის სანიმუშო ქმნილება ასეთი სიყვარულით განასახიერა.

ა. ბურთიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფაქლიერდეს ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის წინააღმდეგ

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია. წესდებაში განსაზღვრულია საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციისა და მისი ანაზღაურების პრინციპები, კოლმეურნეობათა განმტკიცების გზები, არტელის საქმეთა მართვის დემოკრატიული საფუძვლები. წესდება უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამებას კოლმეურნეთა პირად ინტერესებთან. იგი სოფლის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ვნრილმესაკუთრული გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი საშუალებაა.

შეაიარაღეს რა კოლმეურნეობები წესდებით, პარტია და მთავრობა მოითხოვენ, რომ საკოლმეურნეო ცხოვრების ამ კანონს ზუსტად ასრულებდნენ კოლმეურნეები, ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია, თანამდებობის პირი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მთავარი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა განუხრელად სრულდებოდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება. პლენუმმა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა უზრუნველყონ სისტემატური კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უსასტიკესი დაცვისადმი, არ დაუშვან საზოგადოებრივი მიწებისა და საკოლმეურნეო ქონების განავლების ფაქტები, მიიღონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში საქმის უყაირათოდ გაძღოლის აღმოსაფხვრელად, მიაღწიონ შრომის ორგანიზაციის გაუჯობესებას და შრომის დისციპლინის ამაღლებას, უზრუნველყონ ყველა კოლმეურნის აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ წარმოებაში.

ფაქტები მოწმობენ, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მუშაობის გარდაქმნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების მოთხოვნათა მიხედვით ძალიან ნელა მიმდინარეობს, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა და საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ სხვა კანონების დარღვევა ჯერ კიდევ გავრცელებულია.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა კარგად დაყენებული საკონტროლო-საჩვენებო მუშაობა. მაგრამ მტს-ები, ხოლო სადაც ისინი არ არიან, სოფლის მეურნეობის რაისამმართველოები, ხშირად არ ასრულებენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წლის 27 მარტის დადგენილებას „კოლმეურნეობებში ფინანსებისა და აღრიცხვის მოწესრიგების შესახებ". ქუთაისის რაიონში 1953 წელს კოლმეურნეობებში საფინანსო მდგომარეობის მიმდინარე და დოკუმენტალურ შემოწმებათა გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 23,6 პროცენტით, ჩხოროწყუს რაიონში — 36,5, ადგილნის რაიონში — 41,6, ვანის რაიონში — 45,3, მარნეულის რაიონში — 48,8, ლაგოდეხის რაიონში — 57,6 პროცენტით. ანალოგიური სურათია ზუგდიდის, ქარელის, კასპის, მახარაძის, ზნაურის, შუა ხევის, ქობულეთის რაიონებში, აფხაზეთის ასსრ რაიონებში. საქმის ვითარება უკეთესი არ არის 1954 წელსაც. ასპინძის, ადიგენის, ბოგდანოვკის, კაჯრეთის, ქობულეთის, მაიაკოვსკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს 1954 წლის პირველ კვარტალში არ მოუხდენიათ კოლმეურნეობათა მთელი ფინანსური მდგომარეობის არცერთი დოკუმენტალური შემოწმება.

რაც შეეხება კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებს, ისინი ბევრ კოლმეურნეობაში ცუდად მუშაობენ. მაგალითად, ზარშან ლენტეხის რაიონის კოლმეურნეობებში რევიზიის გეგმა შესრულდა 37 პროცენტით, კასპის რაიონის კოლმეურნეობებში — 43, ადიგენის რაიონის კოლმეურნეობებში — 50, სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებში — 51,5 პროცენტით. რევიზიის გეგმა ჩაშალა აგრეთვე ქუთაისის, ლაგოდეხის, ვანის, ზუგდიდის, მარნეულის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში. ამაში მნიშვნელოვანწილად ბრალი მიუძღვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელმაც ვერ უზრუნველყო საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ჯეროვნად დაყენება ადგილებზე. სარევიზიო მუშაობის ცუდად დაყენების გამო ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშერანის კოლმეურნეობაში ბუხალტერმა დ. ნიკალიშვილმა მიითვისა 16 ათას მანეთამდე, მოლარე ე. კუბლაშვილმა — 15.000 მანეთი. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშის კოლმეურნეობაში დანაშაულთა ჯგუფმა — ა. შედანიამ, ე. შედანიამ, ს. კუხალეიშვილმა, შ. დადიანმა — მიითვისა და გაანიავა კოლმეურნეობის მსხვილი თანხა.

არის შემთხვევები, როცა ცალკეულ კოლმეურნეობათა გამგეობები შეუწყნარებელ ლიბერალიზმს იჩენენ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ხელს აფათურებენ კოლმეურნეობის ქონებაზე. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის კოლმეურნეობის გამგეობამ საგამომძიებლო ორგანოებს არ გადასცა მასალები საწყობის გამგის მანუკიანის შესახებ, რომელსაც 11.500 მანეთის მარცვლეული და სხვა პროდუქტები დაეკლდა. მარნეულის რაიონის სოფელ კირიხლოს კოლმეურნეობაში არავითარი ღონისძიებანი არ მიუღიათ საწყობის გამგის მ. ნურიევის მიმართ, რომელსაც ჯერ კიდევ 1954 წლის იანვარში აღმოაჩნდა რამდენიმე ათეული ტონა მარცვლეულის დანაკლისი. ჯავის, უაზბეგის, ხაშურის, ბორჯომის, ბოგდანოვკის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში უსაფუძვლოდ ხდებოდა პირუტყვისა და სხვა ქონების ჩამოწერა. მტს-ები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები კი ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ ამ შეუწყნარებელ ფაქტებს.

კოლმეურნეობათა მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს ზოგიერთი სახელმწიფოებრივი და სხვა ორგანიზაციის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება კოლმეურნეობებთან ანგარიშსწორებისადმი. ჯერ კიდევ დიდია გადაუხდევნებელი დებიტორული დავალიანების თანხა აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში, ლაგოდეხის, საგარეჯოს, ადიგენის, ჩხოროწყუს, მარნეულის, ზუგდიდის, ქუთაისის, გარდაბნის, ხიდისღიის და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში.

უკანასკნელ ხანს კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობაში მეტი წესრიგი დამყარდა, მაგრამ საზოგადოებრივი მიწების დატაცების ფაქტები ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული. ხობის რაიონის სოფელ ნოვოზიხევის კოლმეურნეობაში დატაცებული იყო 3,81 ჰექტარი მიწა, ამავე რაიონის სოფელ შუა ხორგის კოლმეურნეობაში — 2,71 ჰექტარი. ასეთივე სურათი იყო მაიაკოვსკის რაიონის სოფლების როკითისა და პირველი ომჩრის, თერჯოლის რაიონის სოფლების რუფოთის, ქვედა ალისუბნისა და ღვანკითის კოლმეურნეობებში, ტყიბულის, საჩხერის, კასპის რაიონების ზოგიერთ კოლმეურნეობაში. ამასთან კოლმეურნეობათა მიწების დამტაცებლებს, ყველაზე ბოროტად დატაცების შემთხვევებშიც კი, ხშირად არ ანაზღაურებენ ნისლიის სამართლის პასუხისგებაში და ისინი დიდხანს სარგებლობდნენ უკანონოდ დატაცებული ნაკვეთებით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ რა საკოლმეურნეო წარმოებაში შრომადღის მნიშვნელობის ამაღლებას, შეურიგებელ ბრძოლას ეწევიან გათანაბრების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ შრომადღეების დარიცხვისა და განაწილების საქმეში ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ.

მაგრამ კოლმეურნეობებში ნატურალური და ფულადი შემოსავლის არასწორი განაწილების უკვე დიდი ხნის დაგმობილი პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. ვხვდებით ადმინისტრაციული მომახურე პერსონალის შესანახავად შრომადღეების გადახარჯვის ფაქტებს. წალკის რაიონის სოფლების არაგვევან ხარვანისა და ახალციხის კოლმეურნეობებში 1953 წელს ამ მიზნით უკანონოდ დარიცხული აღმოჩნდა 8.445 შრომადღე, ზუგდიდის რაიონის სოფლების დარჩელის, ანაკლიისა და ახალსოფლის კოლმეურნეობებში — 2.417 შრომადღე, სტალინირის მტს-ის ზონის 24 კოლმეურნეობაში — 18.241 შრომადღე.

სრულიად შეუწყნარებელია დაქირავებული შრომის ფართოდ გამოყენების და ამაზე მნიშვნელოვანი სახსრების ხარჯვის ფაქტები, რაც გამოვლინებულ იქნა რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში, აგრეთვე კოლმეურნეთათვის ავანსის მიცემა გამომუშავებული შრომადღეების გაუთვალისწინებლად. მაგალითად, ადიგენის რაიონის კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა და ტრაქტორისტთა ერთ ნაწილს ზედმეტად მიღებული აქვს 22.003 მანეთი ფულად და 8.065 მანეთის პროდუქტები, მეორე ნაწილს კი 1953 წელს არ მიუღია კუთვნილი 116.480 მანეთი ფულად და 118.101 მანეთის პროდუქტები.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით კოლმეურნეობებს რჩება მიეცათ, კოლმეურნეთა საერთო კრებების შეხედულებისამებრ, აძლიონ კოლმეურნეებს ავანსად დაახლოებით 25 პროცენტი ან ფულადი სახსრებისა, რომლებიც პირუტყვის და მეცხოველეობისა და მეფრინველობის პროდუქტების რეალიზაციით შემოდის განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, რომლიდანაც ფული შეიძლება დაიხარჯოს მხოლოდ იმისათვის, რომ კოლმეურნეებს გამომუშავებულ შრომადღეებზე მიეცეთ ავანსი.

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში კი ეს ანგარიშები დროზე არ გაუხსნიათ და კოლმეურნეთა ავანსირების წესს არღვევდნენ.

იმისათვის, რომ კოლმეურნეობანი და პატიოსანი კოლმეურნენი დავიცვათ მტაცებლური ელემენტებისაგან და განვამტკიცოთ კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა, დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს. ამ კანონით გათვალისწინებულია, რომ იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთა ოჯახების ცალკეულმა წევრებმა გასულ წელს საპატიო მიზეზის უქონლად არ გამოიმუშავეს კოლმეურნეობაში შრომადღეების დადგენილი მინიმუმი, გადასახადს იხდიან 50 პროცენტის გადიდებით. ეს სახელმწიფოებრივი ღონისძიება დიდად მოიწონა კოლმეურნე გლეხობამ, და მას უკვე მოაქვს თავისი ნაყოფი კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. საჭიროა ამ კანონის განუხრელად განხორციელება ცხოვრებაში.

ცალკეულ კოლმეურნეობათა გამგეობები, ნაცვლად იმისა, რომ ყოველდღიური აღმზრდელობითს მუშაობას ეწეოდნენ კოლმეურნეებთან და უნარიანად იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით მინიჭებულ უფლებებს შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, ადგენიან კოლმეურნეთა დაჯარიმების გზას, რაც გათვალისწინებული არ არის წესდების მე-17 მუხლით. მაგალითად, კაჭრეთის რაიონის სოფელ ბოგდანოვკის კოლმეურნეობის გამგეობის 1953 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით კოლმეურნენი გ. ხიდურელი, ვ. ერმონენკო და მ. სუსლოვი ას-ასი მანეთით დაჯარიმეს. ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს კოლმეურნეობის გამგეობის 1954 წლის 7 იანვრის გადაწყვეტილებით კოლმეურნე მ. ვერულიძე კოლმეურნეობის გამწევი ძალის თვითნებურად გამოყენებისათვის დაჯარიმებულია 300 მანეთით. ბოლნისის რაიონის სოფელ ქვემის კოლმეურნეობის გამგეობის 1954 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით კოლმეურნე უგრეხელიძე დაჯარიმებულია 75 მანეთით. ასეთსავე უკანონო გადაწყვეტილებებს იღებდნენ აბაშის, ახმეტის, გაგრის, სტალინირის, საგარეჯოს რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ბოგდანოვკის, გურჯაანის, ყვარლის, წალკის, წითელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებში ეს ის ხშირად არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-14 მუხლს და კუთვნილ შვებულებას არ აძლევენ ორსულ კოლმეურნე ქალებს. კოლმეურნეობათა ურთიერთდამხმარე სალარონი ცუდად მუშაობენ და დაკისრებულ ამოცანებს ვერ ასრულებენ.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ სხვა კანონების დარღვევებთან ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით პროკურატურასა და სასამართლოს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა გააძლიერეს ბრძოლა კოლმეურნეობებში კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ. მაგრამ პროკურატურის, საგამომძიებლო და ს

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

8 ივნისის პლენარული სხდომა

ჟენევა, 8 ივნისი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს, მთელი რიგი დახურული სხდომების შემდეგ, ცხრა დელეგაცია, რომლებიც ინდოჩინეთის საკითხის განხილვაში მონაწილეობენ, პლენარულ სხდომაზე შეიკრიბა. თავმჯდომარეობდა ა. იდენი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ბიდომ, რომელიც პირველი გამოვიდა, განაცხადა, რომ აპირებს შეაჯამოს ინდოჩინეთის საკითხზე ერთი თვის დისკუსიის შედეგები. დადგა დრო, თქვა მან, ვნახოთ, სად მიგვიყვანა ამ დისკუსიამ, დავაზუსტოთ პუნქტები, რომლებზეც თანხმობაა, გავიხსენოთ გადაუჭრელი პრობლემები და გამოვყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის. მაგრამ ის, რაც შემდეგ ბიდომ თქვა, არ შეიცავდა დისკუსიის შედეგების საკმაებით ობიექტურ შეფასებას.

მაგალითად, ილაპარაკა რა იმ საკითხის განხილვაზე, თუ ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა ინდოჩინეთის საკითხის განხილვაში, ბიდომ სრული დუმილით აუარა გვერდი იმ ფაქტს, რომ მთელმა რიგმა დელეგაციებმა, მათ შორის საფრანგეთის დელეგაციამაც, ხელი შეუწყვეს თათბირში კხმერისა და პატეტ-ლაოს დემოკრატიულ მთავრობათა წარმომადგენლების მონაწილეობას და ამით თათბირს შესაძლებლობა არ მისცეს მოესმინა ინდოჩინეთის ამ ორი სახელმწიფოს ხალხების ხმა. ბიდომ ცხადყო თავისი განზრახვა კვლავაც არ გაუწიოს ანგარიში კხმერისა და პატეტ-ლაოს ხალხების ინტერესებს და დაჟინებით იცავდა ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ამ ორი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფაქტის უარყოფის პოზიციას. მაგრამ მან აღიარა, რომ მთელ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხის ერთდროული განხილვა მიზანშეწონილია. მან განაცხადა, რომ ახლა თათბირის ყველა მონაწილე მხარს უჭერს ინდოჩინეთში საომარი მოქმედების საერთოდ და ერთდროულად შეწყვეტის პრინციპს, „მაგრამ არაფერი უთქვამს ომაზე, რომ საფრანგეთის დელეგაცია დიდი ხნის განმავლობაში ილაშქრებდა ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე საომარი მოქმედების ერთდროულად შეწყვეტის პრინციპის წინააღმდეგ.

ბიდომ წინადადებურად აყენებდა თავის დაუსაბუთებელ წინადადებას რაღაც არარეგულარული სამხედრო ნაწილების განიარაღების შესახებ.

შეეხო რა საკითხს ვიეტნამში საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ უცხოეთის ჯარების შეყვანისა და უცხოეთის იარაღის შეტანის შესახებ, ბიდომ აღიარა, რომ ამისათვის საჭირო მკაცრი კონტროლი ვიეტნამის ყველა სახმელეთო და საზღვაო საზღვარზე. მაგრამ მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს კხმერსა და პატეტ-ლაოში ასეთი კონტროლის დაწესებაზე. ამასთან მან აღძრა საკითხი ვიეტნამში სამხედრო წარმომადგენლობის კონტროლის დაწესების შესახებ და ამით ცდილობდა არსებობად უცხოეთის კონტროლი დაეწესებინა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკისადმი და ერთი საკითხი ნეიტრალურად შეეცვალა.

ბიდომ დაეთანხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებას, რომ საერთაშორისო ნეიტრალურმა კომისიამ, აგრეთვე შერეულმა კომისიებმა უთანხმოების შემთხვევაში უნდა მიმართონ ენენეს თათბირის მონაწილე სახელმწიფოებს, რამდენადაც ეს სახელმწიფოები, საფრანგეთის წინადადების მიხედვით, ინდოჩინეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გარანტები უნდა იყვნენ. მან ამავე დროს განაცხადა, რომ საკითხების გადაწყვეტის დროს გარანტი ქვეყნები ერთხმიერობის პრინციპით არ უნდა ხელმძღვანელობდნენ.

დასასრულ ბიდომ განაცხადა, რომ, საფრანგეთის დელეგაციის აზრით, თათბირმა უკვე მიაღწია ზოგიერთ შედეგს მშვიდობის გზაზე. მაგრამ, თქვა მან, არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებში, თათბირმა ერთხმად მიიღო. ამ საკითხებზე ჯერ კიდევ სერიოზული უთანხმოებაა. ბიდო ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის დელეგაცია ამ უთანხმოების აღმოფხვრას ესწრაფვის.

შემდეგ სიტყვა აიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ფამ ვან დონგმა. მან თქვა, რომ თათბირის მუშაობის ახლანდელ სტადიაზე უსარგებლო არ იქნებოდა შეგვეჯამებინა განხილულებულ ღონისძიებათა შედეგი, გაგვეთვალისწინებინა ის, რაც უკვე მიღწეული, და გავვერკვია საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების გზაზე წინსვლის პერსპექტივები, რაც ინდოჩინეთში ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის დამყარების პირველი ეტაპი იქნებოდა.

შეადარა რა თათბირისათვის წარდგენილი სხვადასხვა წინადადებანი, ფამ ვან დონგმა აღნიშნა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებათა მიზანია აღდგენილ იქნას მშვიდობა ინდოჩინეთში როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური პრობლემების მოწესრიგების გზით. ბიდოს გეგმა კი მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო გეგმაა და განზრახ უგულებელყოფს ინდოჩინეთში მშვიდობის დამყარების საკითხის პოლიტიკურ ასპექტს. ზოგიერთ დელეგაციას არა სურს, რომ კონფერენციამ განიხილოს ინდოჩინეთის მშვიდობის საკითხი მთლიანად და მოითხოვს, რომ ვიეტნამის საკითხი გამოჰყონ კხმერისა და პატეტ-ლაოს საკითხებისაგან. ფამ ვან დონგმა ცხადყო, რომ ასეთი წინადადებანი მკაფიო შუქს ფენენ ამ დელეგაციათა ნამდვილ განზრახვებს. მან ამხილა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის მოწინააღმდეგეთა ამ უკანასკნელი ხნის სხვადასხვა მანევრი და განაცხადა, რომ ინდოჩინეთში, საფრანგეთში, საბრძოლო-აღმოსავლეთ აზიასა და ევროპაში მოქმედი მშვიდობის ძალები არ იქნებიან უძლურნი ამ მანევრების წინაშე. ფამ ვან დონგმა შეიტანა წინადადება — გაგრძელდეს განხილვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებაში ჩამოყალიბებული სამხედრო საკითხებისა, აგრეთვე დაუყოვნებლივ დაიწყოს პოლიტიკური საკითხების განხილვა.

ფამ ვან დონგის შემდეგ სიტყვა აიღო კამბოჯის წარმომადგენელმა. მისმა გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კამბოჯის მთავრობა და მისი მფარველები სრულებითაც არ ითვალისწინებენ ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის ინდოჩინეთის ყველა ხალხის ეროვნულ უფლებათა აღიარების საფუძველზე. კამბოჯელმა ბევრი დრო წაართვა თათბირს იმ გეგმის დასაცავად „არგუმენტაციით“, რომელიც იმით სმოფურია, რომ სახალხო-განმათავისუფლებელი ძალები ხმერის ხალხისა, რომელიც თავისი განთავისუფლებისათვის იბრძვის, გამოაცხადონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ „შეჭრის ძალებად“, განაიარაღონ ეს სახალხო-განმათავისუფლებელი ძალები და გაავრცელონ კამბოჯის მარიონეტული მთავრობის ძალაუფლება ხმერის მთელ ტერიტორიაზე. კამბოჯის მთავრობის დელეგაციამ გამომეყარა მთავრობის ნამდვილი ზრახვები, როცა განაცხადა, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც მთავრობას უფლება აქვს გარედან შეიტანოს უცხოეთის იარაღი და შეიყვანოს უცხოეთის სამხედრო პერსონალი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კამბოჯის მარიონეტული მთავრობა წინააღმდეგი არ არის, რომ მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორია გადაიქცეს პლაცდარმად, რათა განახლდეს საომარი მოქმედება ინდოჩინეთის ხალხთა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის განცხადება.

(ვ. მ. მოლოტოვის განცხადება დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში).

ინგლისის დელეგაციის მეთაურმა ა. იდენმა განაცხადა, რომ თათბირმა ინდოჩინეთის საკითხის განხილვის დროს მიაღწია ზოგიერთ წარმატებას, მაგრამ უთანხმოებანი ცალკეულ პრობლემებზე კვლავ ფრიად მნიშვნელოვანია. თუ თათბირმა ეს პრობლემები არ გადაწყვიტა, იგი თავის ამოცანას ვერ შეასრულებს.

იდენმა აღნიშნა, რომ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია 29 მაისს მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ ორივე სარდლობის წარმომადგენლები ვიეტნამში განიხილავენ ამ ქვეყანაში საომარი მოქმედების შეწყვეტის პირობებს. იდენმა აღნიშნა, რომ ეს მოლაპარაკება უკვე დაიწყო ჟენევაში და იმედი გამოთქვა, რომ ამას მალე მოჰყვება შედეგები, რომლებიც წარედგინება თათბირს როგორც რეკომენდაცია. მაგრამ, აღნიშნა იდენმა, თათბირმა კიდევ უნდა იმუშაოს ლაოსისა და კამბოჯის პრობლემაზე და მხედველობაში იქონიოს, რომ საომარი მოქმედება ერთსა და იმავე დროს უნდა შეწყდეს მთელ ინდოჩინეთში. იდენმა ამასთანავე გაიმეორა ნამდვილი ფაქტების საწინააღმდეგო მტკიცება, თითქოს ომი ლაოსსა და კამბოჯაში გამოწვეული იყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების შეჭრით.

შეეხო რა საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების შესრულებაზე საერთაშორისო მეთვალყურეობის დაწესების საკითხს, იდენმა განაცხადა, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პრობლემა ინდოჩინეთის სამივე სახელმწიფოსათვის საერთოა. იგი დაეთანხმა იმას, რომ უნდა შეიქმნას შერეული კომისიები მეომარი მხარეების წარმომადგენელთაგან, მაგრამ მათ მიაკუთვნა წმინდა ტექნიკური ფუნქციები და განაცხადა, რომ ეს კომისიები უნდა დაექვემდებარონ საერთაშორისო მეთვალყურე კომისიას.

იდენმა წინადადება შეიტანა, რომ საერთაშორისო მეთვალყურე კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ ის ქვეყნები, რომელთა პრემიერ-მინისტრებიც ამას წინათ მონაწილეობდნენ კოლომბოს კონფერენციაში, ესე იგი ინდოეთი, პაკისტანი, ბირმა, ინდონეზია და ცეილონი.

დასასრულ იდენმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, საერთაშორისო კომისიის შემადგენლობის საკითხის გადაჭრის შემდეგ შესაძლებელი იქნება განვიხილოთ მისი ფუნქციებისა და სტრუქტურის საკითხი, აგრეთვე გარანტიების საკითხი.

შემდეგ ბიდომ, რომელმაც კვლავ აიღო სიტყვა. ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საფრანგეთის დელეგაციას, რომელსაც, როგორც ცნობილია, თავის წინადადებათა პროექტში არ შეუტანია არც ერთი პოლიტიკური საკითხი, არა სურს დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საკითხების განხილვას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სმიტმა აზრი გამოთქვა იმ პოლიტიკურ საკითხთან დაუყოვნებლივ განხილვის წინადადებას წინააღმდეგ, რომელებიც ინდოჩინეთის პრობლემას შეეხება. როგორც მოსალოდნელი იყო, სმიტმა მხარი დუჭირა საფრანგეთს პოზიციას ლაოსისა და კამბოჯის საკითხში. სმიტი მიემხრო იდენის წინადადებას საერთაშორისო მეთვალყურე კომისიის შემადგენლობის შესახებ და განაცხადა, რომ ეს წინადადება საჭიროა ყურადღებით იქნას შესწავლილი.

თავმჯდომარემ იდენმა განაცხადა, რომ ჩაეწერა კიდევ ორი ორატორი, და წინადადება შეიტანა, რომ მათი სიტყვა გვიანი დროის გამო გადატანილ იქნას ხვალინდელ პლენარულ სხდომაზე. ამის წინააღმდეგ არავინ გამოსულა. ამით სხდომა დაიხურა.

9 ივნისის პლენარული სხდომა

ჟენევა, 9 ივნისი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ინდოჩინეთში მშვიდობის აღდგენის საკითხის განხილვის მონაწილე ცხრა დელეგაციის მორიგი პლენარული სხდომა.

ბაო დაის წარმომადგენელმა, რომელიც პირველი გამოვიდა, დაიწყო იმის მტკიცებით, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია თავისი წინადადებებით მთელი ინდოჩინეთის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების ერთსა და იმავე დროს შეწყვეტისა და მეომარ მხარეთა ჯარების განლაგების ზონების განსაზღვრის საკითხზე თითქოს მიზნად ისახავდა ვიეტნამის გაყოფას. ბაოდაელის ასეთი განცხადება არ შეიძლება არ იქნეს აღიარებული ჭეშმარიტების წინასწარგანზრახულ დამახინჯებად, რამდენადაც ცნობილია, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ სამხედრო საკითხთა წინადადებებთან ერთად შეიტანა აგრეთვე მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია არა მარტო საომარი მოქმედების შეწყვეტა, არამედ მთლიანად მთელი ინდოჩინეთის პრობლემის მტკიცე და საბოლოო გადაჭრა ინდოჩინეთის ხალხთა კანონიერი ეროვნული უფლებების აღიარების საფუძველზე. ეს წინადადებანი, რომლებიც შეტანილ იქნა 10 მაისს და რომლებიც, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ბაო დაის წარმომადგენელს, ითვალისწინებენ საფრანგეთის მიერ ვიეტნამის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარებას ვიეტნამის მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე კხმერისა და პატეტ-ლაოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარებას, ინდოჩინეთის ყველა სახელმწიფოში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მოწყობას თვითეულ ამ ქვეყანაში ერთიანი მთავრობის შექმნის მიზნით და სხვ.

ბაო დაის რეჟიმის წარმომადგენელმა კვლავ გაიმეორა ბაო დაის მთავრობის სასაცილო პრეტენზიები იმის უფლებაზე, რომ ეს მთავრობა ვიეტნამის ხალხს წარმოადგენს, მაგრამ მან ვერ შეძლო უარეყო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დელეგაციების გუშინდელ განცხადებებში მოყვანილი ფაქტები, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ ბაო დაის ხელისუფალნი არ გამოხატავენ ვიეტნამელი ხალხის ინტერესებს, ეყრდნობიან უცხოეთის ხიშტებს და უცხოეთის კოლონიური ბატონობის განხორციელების იარაღი არიან. ბაო დაის მთავრობის წარმომადგენლის გამოსვლამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ამ მთავრობას ეშინია მიანიჭოს ვიეტნამელ ხალხს უფლება გამოთქვას თავისი ნება ვიეტნამში საყოველთაო თავისუფალი არჩევნების განხორციელების გზით, რათა მთელი ვიეტნამისათვის შეიქმნას ერთიანი დემოკრატიული მთავრობა. ბაო დაის წარმომადგენლის გამოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ბაო დაის ხელისუფალთ ვერ წარმოუდგენიათ არჩევნები ისე, თუ არ იქნა უცხოეთის ჩარევა და ზეგავლენა და თუ არ იქნენ უცხოეთის ჯარები.

შეეხო რა საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობათა განხორციელებისადმი კონტროლის დაწესების საკითხს, ბაო დაის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს კონტროლი უნდა დაეკისროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, თუმცა ამ ორგანიზაციას ჟენევის თათბირთან საერთო არა აქვს რა. როგორც ტაილანდის ცნობილი წინადადება იმის შესახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსთან შექმნას ინდოჩინეთის საზღვრებზე მდგომარეობის სამეთვალყურეო კომისია, რაც გაკეთებულ იქნა უცხოეთის აგრესიული წრეების მითითებით, ისე ბაო დაის დელეგაციის ამ წინადადებას არ შეიძლება ჭქონდეს სხვა მიზანი, გარდა ინდოჩინეთის საშინაო საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმის საფარით.

ბაოდაელის შემდეგ სიტყვა აიღო ლაოსის წარმომადგენელმა. მისმა გამოსვლამ ცხადყო, რომ მისი დელეგაცია იმ მთავრობათა იარაღია, რომლებსაც თავიანთ ამოცანად მიიჩნიათ არა მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში, არამედ ომის შემდგომი გაფართოება. ლაოსის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ ლაოსათვის დამოუკიდებლობის მინიჭების პრობლემა თითქოს უკვე გადაჭრილია საფრანგეთის მთავრობისა და ლაოსის მთავრობის ურთიერთშეთანხმებით, თუმცა ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს პატეტ-ლაოს ხალხს და უფლება და საფუძელი არა აქვს გამოვიდეს მისი სახელით. ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პატეტ-ლაოს ხალხისა, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, ლაოსის მარიონეტულ ხელისუფალთა წარმომადგენელმა დასახა როგორც „ვიეტმინის ძალების შეჭრა“, და ამით ცხადყო, რომ იგი იცავს არა ხალხის ეროვნულ ინტერესებს, არამედ კოლონიზატორ დამმონებელთა ინტერესებს.

ლაოსის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ბაოდაელი დელეგატის წინადადებებს იმის შესახებ, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხზე შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლი დაეკისროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ხოლო ამ წინადადების უარყოფის შემთხვევაში — საერთაშორისო კომისიას პაკისტანის, ტაილანდის, ინდოეთის, ცეილონისა და ფილიპინების შემადგენლობით.

თუმცა ლაოსის წარმომადგენლის გამოსვლამ ბევრი დრო დაიკავა, მაგრამ თათბირის მონაწილეებმა მაინც ვერ მოისმინეს მისგან ვერც ერთი ახალი სიტყვა. იგი დაეთანხმა იმეორებდა იმას, რაც მან უკვე ბევრჯერ თქვა, და დაეთანხმა მოითხოვდა მიეღოთ მისი პოზიცია, რაც უკარნახეს მას იმ მთავრობებმა, რომლებსაც სრულიად არ აინტერესებთ ინდოჩინეთის საკითხზე შეთანხმების მიღწევა.

ღღეევანდელ სხდომაზე ვრცელი განცხადება გააკეთა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ჯოუ ენ-ლაიმ. მან თქვა, რომ მრავალგზის განხილვის შედეგად თათბირმა ეაღწია ერთგვარ წინსვლას, მაგრამ მიღწეული წარმატებანი ჯერ კიდევ სრულადაც არ არის საკმარისი და თათბირის მუშაობა ვერ დააკმაყოფილებს მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებებს. ჯოუ ენ-ლაიმ გულმოდგინე ანალიზი გაუკეთა დისკუსიის მსვლელობას საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების საერთო პრინციპების წინადადებებზე, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა 27 მაისს, ეყრდნობოდა რა საფრანგეთისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციების წინადადებებს, აგრეთვე მათს ცვლილებებს, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა. მან აღნიშნა, რომ ამ წინადადებათა განხილვის მსვლელობაში შესამჩნევია ზოგიერთი საკითხზე თვალსაზრისთა ურთიერთ დაახლოება, მაგრამ სხვა საკითხებში ჯერ კიდევ არის შეხედულებათა მნიშვნელოვანი განსხვავება, ამასთან ზოგიერთი დელეგაცია თავისი პოზიციით კიდევაც აფერხებს თათბირის მსვლელობას. ამასთან, ჯოუ ენ-ლაიმ გააკრიტიკა პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომელთა პოლიტიკის მიზანია გაფართოოონ ომი ინდოჩინეთში და არ დაუშვან შეთანხმების მიღწევა ჟენევის თათბირზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ჟენევის თათბირის დროს ომის მოიხრეებმა საფრანგეთში მთელი თავიანთი ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ უზრუნველეყოთ ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ინდოჩინეთის ომში და ახორციელებენ ჟენევის თათბირის გაჭიანურების პოლიტიკას.

ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მთლიანად უჭერს მხარს წინადადებებს ინდოჩინეთის პოლიტიკური პრობლემების განხილვის შესახებ, რომლებიც შეტანეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დელეგაციებმა.

შემდეგ გამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა სმიტმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს პასუხი გასცეს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის იმ კრიტიკას, რომელსაც შეიცავდა ვ. მ. მოლოტოვის გუშინდელი განცხადება და ჯოუ ენ-ლაის დღეგანდელი გამოსვლა. მაგრამ იმ საბუთების ჭქონლობის გამო, რომლებითაც შეიძლებოდეს იმ ფაქტის უარყოფა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები თავიანთ ღონისძიებებს ახმარენ არა მშვიდობის აღდგენას, არამედ ინდოჩინეთში ომისშემდგომ გაფართოებას, ამერიკის წარმომადგენელი შეუდგა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკის შესახებ ტრაფარეტული ჭორების გამეორებას.

რაც შეეხება განსახილველი საკითხის არსს, სმიტი დაკმაყოფილდა განცხადებით სწორედ იმ წინადადებებისათვის მხარის დაჭერის შესახებ, რომელთა მიზანია ხელი შეუშალონ ინდოჩინეთის საკითხის მოწესრიგებას ინდოჩინეთის ხალხთა ეროვნული უფლებების აღიარების საფუძველზე. მან განაცხადა, რომ ლაოსისა და კამბოჯის პრობლემა უნდა გამოიყოს ვიეტნამის საკითხს. ილაპარაკა რა საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხზე შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლის შესახებ, მან განაცხადა, რომ მისაღებად მიაჩნია ორგორც ინგლისის დელეგაციის წინადადება, რომ საერთაშორისო კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ კოლომბოს კონფერენციის მონაწილე ქვეყნები, ისე ბაოდაელი დელეგატის წინადადებაც, რომ ეს კონტროლი განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. იგი მიემხრო აგრეთვე იმას, რომ ორივე მხარის წარმომადგენელთაგან შემდგარი შერეული კომისიები ემორჩილებოდნენ საერთაშორისო კომისიას.

ამით სხდომა დაიხურა.

საბჭოთა მოჭადრაკეები ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩასვლამდე

ამერიკელ შეერთებული შტატების გუნდთან მატჩზე ჩასვლამდე, ოსლოში, ბერლინში, მოსკოვიდან ნიუ-იორკში გაფრინდა საბჭოთა მოჭადრაკეების გუნდი. სსრ კავშირის გუნდში შედიან გროსმაისტერები ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, პ. კერესი, ი. ავერბახი, ე. გელერი, ა. კოტოვი, ტ. პეტროსიანი, მ ტაიმანოვი, სათადარიგო მონაწილე — გროსმაისტერი ი. ბოლესლავსკი, გუნდის კაპიტანი — გროსმაისტერი ი. ბონდარევსკი.

საბჭოთა მოჭადრაკეების დელეგაციას მეთაურობს ამერიკის ფ. ჯ. პოსტნიკოვი.

მატჩი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდებს შორის დაიწყება ნიუ-იორკში 16 ივნისს.

ამერიკის შეერთებული შტატების გუნდში შედიან გროსმაისტერი ს. რეშევსკი, ოსტატები ა. დენკერი, მ. პავეი, ა. ბირნი, ი. გოროვიცი, რ. ბირნი, ა. ბიზგაიერი, ლ. ევანსი, სათადარიგო მონაწილე — ოსტატი ი. დეიკი.

შეჯიბრება შედგება 4 ტურისაგან. თვითეული მონაწილე თავის დაფაზე ითამაშებს 4 პარტიას, სულ მატჩში გაითამაშებენ 32 პარტიას.

საბჭოთა მოჭადრაკეების შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა გუნდთან, როგორც ცნობილია, უნდა მომზადარიყო გასულ წელს. მაგრამ ამერიკის ხელისუფლებამ მაშინ საბჭოთა მოჭადრაკეებს პირობად დაუდეს არ გასულიყვნენ ქალაქ ნიუ-იორკის ფარგლებიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის წარმომადგენლობის იგარაკში, რომელიც ქალაქ გლენკოვშია, ეელოთ მხოლოდ დღისით და ამასთან ყოველთვის საამიგრაციო ხელისუფალთა ნებართვით და არ გაეთიათ ღამე ამ იგარაკში.

მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირის საჭადრაკო სექცია და საბჭოთა მოჭადრაკეები ამ შეზღუდვების წინააღმდეგი იყვნენ, ამერიკის ხელისუფლებამ უარი თქვეს მათ გაუქმებაზე. ამის გამო საბჭოთა მოჭადრაკეებმა შეუძლებლად დაინახეს ჩასულიყვნენ ნიუ-იორკში და მონაწილეობა მიეღოთ აღნიშნულ მატჩში.

ეიმდენრიგ წლის დამდეგს ამერიკის საჭადრაკო ფედერაციამ კვლავ მიმართა საბჭოთა მოჭადრაკეებს წინადადებით მოეწყოს გუნდების შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და განაცხადა, რომ ნიუ-იორკში საბჭოთა მოჭადრაკეების ყოფნის შეზღუდვები, რაც წინათ იყო დაწესებული, ამერიკის ხელისუფლებმა გააუქმეს. (საკუთარი).

საერთაშორისო ამხანაგური მაჯჩი ფეხბურთში

გუშინ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში საფრანგეთის „ეერონდასა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის. შეჯიბრება დამთავრდა მოსკოვის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

ჩინელ კალათბურთელებთან შეხვედრა

9 ივნისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ჩინელ და თბილისელ კალათბურთელთა მორიგი საჭვრეთნელი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ ქალთა გუნდები. შეხვედრა დამთავრდა თბილისის „ნაუკას“ ქალთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 82:54.

მაყურებელთა საერთო ინტერესი გამოიწვია ვაჟთა გუნდების შეხვედრამ. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა „ნაუკის“ კალათბურთელთა სასარგებლოდ 33:26. ძლიერი წვიმის გამო თამაშის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა, მეორე ტაიმი არ შემდგარა.

გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კალათბურთელები ერევანში გაემგზავრნენ.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

11 ივნისს
ჯ. ვერდი — **ტრავიატა**
(დ. გამრეკელის მონაწილეობით).

12 ივნისს
კ. დანკევიჩი—
ბოგდან ხმელნიცკი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. სამკურნალო ფაკულტეტის ნერვების სნეულებათა კათედრა — კათედრის პროფესორი — ნახევარ განაკვეთზე.
2. პედიატრიული და სან-ჰიგიენური ფაკულტეტის ნერვების სნეულებათა კათედრა — კათედრის პროფესორი — ნახევარ განაკვეთზე,
3. ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრა — კათედრის გამგე — 1,
4. პედიატრიული და სან-ჰიგიენური ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრა — კათედრის გამგე — 1,
5. ფიზიკულტურის კათედრა — მასწავლებელი — 4.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონკურსში, ამის შესახებ განცხადება უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული ასლი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხში დამტკიცების სბუთების სათანადოდ შემოწმებული ასლები, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და მათ შესახებ რეცენზიები.

კონკურსის ვადაა ორი კვირა ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ინსტიტუტის მისამართი — მელიქიშვილის ქ. № 10.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

14 ივნისიდან თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმი

სცენარი მ. ბარათაშვილისა და ლ. ხოტივარისა, დადგმა რეჟისორ ხ. დოლიძისა, ოპერატორი ტ. ლობოვი, მხატვარი ლ. შენგელია, კომპოზიტორი ს. ციცაძე, ხმის ოპერატორი ვ. დოლიძე.

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის „საქართველოს ფილმის“ 1954 წლის ნაწარმოები.

საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1954-55 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

აგრონომიულ (ქართული და რუსული სექტორი, კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი); ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის (კვალიფიკაცია—სწავლული აგრონომი); სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის (კვალიფიკაცია აგრონომი-ეკონომისტი); მეხილეობა-მებოსტნეობის და მევენახეობის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი); მცენარეთა დაცვის (კვალიფიკაცია — სწავლული აგრონომი); ყურძნის ღვინის წარმოების ტექნოლოგიის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-ტექნოლოგი); სატყეო მეურნეობის (ქართული და რუსული სექტორი, კვალიფიკაცია — სატყეო მეურნეობის ინჟინერი); სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (ქართული და რუსული სექტორი, კვალიფიკაცია — ინჟინერ-მექანიკოსი); მოწამთოწყობის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-მიწათმომწყობი); ჰიდრომელიორაციის (კვალიფიკაცია — ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე ასაკისა, რომლებმაც დამთავრეს სრული საშუალო სკოლა ან ჩაბარეს საშუალო სკოლის კურსი ექსტერნატის წესით.

იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სპეციალური ტექნიკუმი, სავალდებულოა კანონით გათვალისწინებული სამწლიანი საწარმოო სტაჟი.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებმაც საშუალო სკოლა დამთავრეს ოქროს ან ვერ